CRRC

თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

9 ივლისი - 2 სექტემბერი 2012

თოქშოუების წინასაარჩევნო მონიტორინგი აკვირდება პრაიმტაიმის დროს გასულ ყველა თოქშოუს, რომელიც პოლიტიკურ თემებს ეძღვნება. ვინაიდან ყველა არხზე არ გადის ასეთი ტიპის გადაცემები დაკვირვების ქვეშ მოხვდნენ შემდეგი არხები და თოქ-შოები:

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხზე - „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ და „აქცენტები ეკა კვესიტაძესთან ერთად“;

მაესტროზე - „სუბეიქტური აზრი“ წამყვანები შალვა რამიშვილი და დიანა ტრაპაიძე, „პოლიტმეტრი“ - ნინო ჟიჟილაშვილი, „არგუმენტები“ - თეა სიჭინავა და „ჩვენ“ - თამარ ჩიქოვანი;

კავკასიაზე - „სპექტრი“ - დავით აქუბარდია, „ბარიერი“ - ალექსანდრე ელისაშვილი და ნინო ჯანგირაშვილი და „ცხელი ხაზი“, რომელსაც მორიგეობით უძღვებიან ალექსანდრე ელისაშვილი, დაჩი გრძელიშვილი, ზვიად ქორიძე და ნათია ორველაშვილი;

მეცხრე არხზე - „ახალკაცის მატრიცა“, „კონსილიუმი ვასილ მაღლაფერიძესთან“ და „ეკა ბერიძის მთავარი კითხვა“.

მეთოდოლოგია და ანალიზი

თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს ხდება დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით. ფასდება ჟურნალისტების როლი და ჩართულობა

გადაცემის განმავლობაში. ჟურნალისტი უბრალოდ მოდერატორია, რომელიც მართავს პროცესს, თუ ცდილობს თავისი პოზიციის დაფიქსირებას. რამდენად აცდის თოქშოუს წამყვანი სტუმრებს აზრის გამოთქმას და როდის აწყვეტინებს საუბარს. ასევე, ხდება დაკვირვება, თუ რამდენად თანაბარ პირობებში აყენებს ჟურნალისტი სტუმრებს: ჟურნალისტის კითხვები რამდენად თანაბრად მომთხოვნი/ლმობიერია ყველა სტუმრის მიმართ და რამდენად ცდილობს ჟურნალისტი სტუმრებისგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას ჩაძიების გზით. მონიტორინგი ასევე აკვირდება თოქშოუებში სიძულვილის ენის (შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზების/განცხადებების) გამოყენებას ჟურნალისტების/წამყვანების მხრიდან და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

ანგარიშში მოცემულია 9 ივლისიდან 2 სექტემბრის ჩათვლით გასული გადაცემების ანალიზი არხების მიხედვით.

პირველი არხი

პირველ არხზე მონიტორინგის ქვეშ მოხვდა ორი გადაცემა. ესენია: „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ და „აქცენტები ეკა კვესიტაძესთან ერთად“. დავით პაიჭაძის გადაცემა კვირაში ორჯერ - სამშაბათსა და ხუთშაბათს გადის ეთერში, „აქცენტები“ კი, მხოლოდ კვირაში ერთხელ, ყოველ კვირა დღეს. მონიტორინგის პერიოდში ეკა კვესიტაძის თოქ-შოუს მხოლოდ 3 გადაცემა მოხვდა, „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ კი, 10-ჯერ გავიდა ეთერში.

ორივე გადაცემაში მოწვეული იყვენენ, როგორც მმართველი გუნდის წევრები, ასევე, ოპოზიციის წარმომადგნელები და ექსპერტები. ორივე ჟურნალისტი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული გადაცემაში. ცდილობენ ამომწურავი პასუხები მიიღონ დასმულ კითხვებზე და სტუმრებს აძლევენ საშუალებას ბოლომდე დააფიქსირონ თავისი აზრი.
თუმცა, დავით პაიჭაძის შემთხვევაში, ხშირად, ადვილი შესამჩნევია წამყვანის უფრო მეტად მომთხოვნი კითხვები და მომატებული კრიტიკა და ხშირ შემთხვევაში ირონიაც კი, ისეთი

სტუმრების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ოპოზიციურ პარტიას ან ოპოზიციურად არიან განწყობილი ხელისუფლების მიმართ.
ასევე, ორივე ჟურნალისტის შემთხვევაში იყო მომენტები, როდესაც ისინი ღიად აფიქსირებდნენ თავიანთ პირად მოსაზრებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

„დიალოგი დავით პაიჭაძესთან"

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე თოქ-შოუ „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" გადის კვირაში ორჯერ - ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს საღამოს 10 საათზე. გადაცემა ორ ბლოკად არის გაყოფილი და სტუდიაში ერთი, ორი ან, იშვიათად, სამი სტუმარი არის მიწვეული. მონიტორინგის პერიოდში სულ ათი გადაცემა გავიდა. თოქ-შოუს ხანგრძლივობა, საშუალოდ ერთი საათია.

თემების თვალსაზრისით გადაცემები მრავალფეროვანი იყო და, ძირითადად, მიმდინარე აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. სტუდიაში განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა

- „მაესტროს" სატელიტური თეფშების დაყადაღება,
- არჩევნები (წინასაარჩევნო პერიოდი, პარტიების კამპანია),
- NDI-ს კვლევა,
- ეკლესიის როლი პოლიტიკაში,
- მედია მონიტორინგი,
- ქალთა როლი პოლიტიკაში,
- ლაფანყურის ინციდენტი.

მონიტორინგის პერიოდში გასულ გადაცემებში მოწვეული იყვნენ, როგორც ოპოზიციის, ასევე მმართველი გუნდის წევრები, ექსპერტები, მთავრობის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. თითოეულ გადაცემაში სტუმრები თემასთან შესაბამისად იყვნენ შერჩეულნი. დათმობილი დროც მეტ-ნაკლებად თანაბრად იყო მათ შორის გადანაწილებული.

წამყვანი გადაცემაში ძალიან აქტიურად არის ჩართული, თუმცა, გადაცემა, ძირითადად, დინამიურად და მშვიდად მიდის, ყოველგვარი მწვავე დებატების გარეშე. თუკი წამყვანს თემის განსახილხველად ორივე მხარე ჰყავს მოწვეული იგი ცდილობს მხარეები თანაბრად წარმოაჩინოს და თანაბარი დრო დაუთმოს მათ. დავით პაიჭაძე თითქმის ყოველთვის ცდილობს ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს სტუმრისგან და სვამს ვრცელ, მაგრამ განმარტებით შეკითხვებს, რაც სტუმრისგან ამომწურავი და ცალსახა პასუხის მიღების შესაძლებლობას იძლევა. იგი არც უხეშად აწყვეტინებს საუბარს სტუმრებს და არც მათ საუბარში ერევა არაკორექტულად. ამასთან აკონტროლებს, სტუმრები არ ასცდნენ თემას და მაქსიმალურად ამომწურავი პასუხები გასცენ მის შეკითხვებს. ხშირად ითხოვს სტუმრებისგან გამოთქმული აზრის დაკონკრეტებას.

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ როდესაც თოქ-შოუს სტუმარი წარმოადგენს ოპოზიციურ პარტიას ან ოპოზიციურადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ, ან ისეთი პოზიცია აქვს, რომელიც წამყვანის პოზიციას არ ემთხვევა, ადვილი შესამჩნევია წამყვანის უფრო მეტად მომთხოვნი კითხვები. ასევე, მომატებული კრიტიკა მის მიმართ და ხშირ შემთხვევაში ირონიაც კი, როგორც სიტყვიერი ასევე მიმიკით. ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტი უფრო მეტად უწევს ოპონირებას თავის სტუმრებს, ვიდრე სხვა შემთხვევებში.

მაგალითად, 12 ივლისის გადაცემაში, რომელიც ტელეკომპანია მაესტროს სატელიტური თეფშების დაყადაღებას ეხებოდა, სადაც სტუმარი იყო მამუკა ღლონტი, პაიჭაძე მის მიმართ მეტად მომთხოვნი იყო და ხშირად ცინიკურ კომენტარებსაც უკეთებდა მის განცხადებებს. გადაცემის დასაწყისში, მამუკა ღლონტმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებრივ მაუწყებელს იმ პირდაპირი ჩართვისთვის, რომელიც განახორციელეს ნუცუბიძის ქუჩაზე მათი გამოსვლის დროს და თქვა, რომ რომ არა მათი პირდაპირი ეთერი იგი ჯანმრთელი იქიდან ვერ გამოვიდოდა. ამაზე ჟურნალისტს გაეცინა და თქვა, „ეს უნებლიე ხელშეწყობა გამოვიდა თქვენი“.

იგივე გადაცემაში, როდესაც მამუკა ღლონტი სტუდიაში მყოფ მეორე სტუმარს, არასამთავრობო ორგანიზაციის, „სუფთა პოლიტიკა“, თანადამფუძნებელს, ნინო ლაპიაშვილს, ირონიულ კომენტარს უკეთებდა დავით პაიჭაძემ მას უთხრა: „ეხლა ვხვდები

თქვენგან რა ისწავლეს მაესტროს ჟურნალისტებმა. როგორ ისწავლეს თქვენგან კონფრონტაციული ინტერვიუს წარმართვის სტილი.“

ასევე ირონიული იყო წამყვანის დამოკიდებულება 30 აგვისტოს ალექსი პეტრიაშვილის (კოალიცია ქართული ოცნება) მიმართ. საუბარი ეხებოდა ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, ემიგრაციაში მყოფი ქართველების შესახებ და იმას, რომ მათ საშუალება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

ალექსი პეტრიაშვილი ამბობს: „მე ვიტყოდი, რომ დღეს ნამდვილად გადადგმული არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისათვის, რომ ქართულმა ემიგრაციამ ხმა მისცეს თავის ქვეყნის მომავალს. უკეთეს ხვალინდელ დღეს.“ ამ დროს დავით პაიჭაძე სტუმარს აწყვეტინებს საუბარს და კითხვას უსვამს: „,თქვენ ფიქრობთ, რომ ქართული ემიგრაცია ასე სიმაღლის მიხედვით დგას და აძლევს ხმას „ქართულ ოცნებას“? ყველანი? (თან ხელის ჟესტიკულაციით განასახიერებს სიმაღლის მიხედვით მდგარ ხალხს).

ჟურნალისტის კითხვების შინაარსი და ხასიათი უფრო დამოკიდებულია გადაცემის თემაზე და შესაბამისად თემის სიმწვავეზე. მაგალითად 14 აგვისტოს გადაცემაში პაიჭაძე მამუკა ანდღულაძესთან, (საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო) უფრო მომთხოვნია ვიდრე მეორე ბლოკში სტუმრად მყოფ გია ნოდიასთან. მამუკა ანდღულაძის შემთხვევაში საუბრის თემა იყო საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა საქართველოს ტელემაუწყებლობის შესახებ. წამყვანი უფრო მომთხოვნია ამ სტუმრის მიმართ და აქედან გამომდინარე ზოგიერთ კითხვას რამდენჯერმე იმეორებს და რესპონდენტისგან ითხოვს ამომწურავ პასუხებს. თუმცა, ამით წამყვანი კონკრეტულ ანტიპათიას ან სიმპათიას რომელიმე სტუმრის მიმართ არ გამოხატავს.

დაფიქსირდა ასევე შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დავით პაიჭაძე თავის მოსაზრებებს აფიქსირებს, რომლებიც არაფრითაა გამყარებული. მაგალითად 10 ივლისის გადაცემაში, სადაც საუბარი იყო NDI-ს კვლევის შედეგებზე იგი ამბობს: „კითხვაზე თვლით თუ არა თავს დასაქმებულად, 30%-მა უპასუხა, რომ თვლის და 69%-მა

უპასუხა, რომ არა. რომ წარმოვიდგინოთ, რომ 69% არის საქართველოში უმუშევრობა, არ გამოდის, იმიტომ რომ ამდენი უმუშევრობა ნამდვილად არ არის“.

„აქცენტები ეკა კვესიტაძესთან ერთად“

„აქცენტები” ყოველკვირეული თოქ-შოუა, რომლის წამყვანიც ეკა კვესიტაძეა. გადაცემა გადის ყოველ კვირა დღეს, საღამოს 8 საათზე. „აქცენტებში”, ჩვეულებრივ, სტუდიაში ორი სტუმარია მოწვეული, ხდება სტუმრების სატელეფონო ან სხვა სტუდიიდან ჩართვაც. მთლიანობაში, გადაცემა დაახლოებით ერთი საათი გრძელდება. მონიტორინგის პერიოდში სულ სამი ასეთი გადაცემა გავიდა და შემდეგი თემები იქნა განხილული:

- წინასაარჩევნო კამპანია,
- მთავრობის გეგმა კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის,
- ლაფანყურის სპეცოპერაცია.

თოქ-შოუში მოწვეულნი იყვნენ როგორც ოპოზიციის, ასევე მმართველი გუნდის წევრები, ექსპერტები, მთავრობის, ადგილობრივი თვითმართველობისა და მედიის წარმომადგენლები. თუმცა, ოპოზიცია მხოლოდ კოალიცია ქართული ოცნების სახით იყო წარმოდგენილი. მესამე გადაცემაში, რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციას და სახელწიფო დაზღვევის პროგრამას ეძღვნებოდა თოქ-შოუს სტუმრები ჯანდაცვის მინისტრი, პოლიტოლოგი და მედიის ორი წარმომადგენილი იყო.

რადგანაც მონიტორინგის პერიოდში ”აქცენტების” მხოლოდ სამი გადაცემა გავიდა, რთულია მოხდეს მათი განზოგადება. ჩვეულებრივ, გადაცემაში რამდენიმე სტუმარია მოწვეული და ძირითადად, დებატების ფორმატში მიმდინარეობს. ხშირ შემთხვევაში, წამყვანი აქტიურადაა ჩართული გადაცემაში და ცდილობს ამომწურავი კითხვები დასვას. ჟურნალისტი ცდილობს წარმოაჩინოს სტუმრის მიერ დაფიქსირებული აზრის საწინააღმდეგო მოსაზრებაც და ოპონირება გაუწიოს მას.

მაგალითად, 15 ივლისის თოქ-შოუში ეკა კვესიტაძემ, ირაკლი ალასანიას დაფიქსრებულ აზრზე, რომ ადამიანების ცემისა და დაჭერების ფაქტების შემდეგ ამაზე პასუხს არავინ აგებს, აღნიშნა, რომ „კარალეთში მომხდარ ინციდენტზე პასუხი აგეს ადამიანებმა. დაიჭირეს ხუთი ადამიანი."

იგივე გადაცემაში ის, ასევე, შედის კამათში აკაკი მინაშვილთან კარალეთის ინციდენტთან დაკავშირებით და ამბობს, რომ „კარალეთში გამოჩნდა ერთი რამე, რომ იქ არ იყო პოლიცია. ეს არის ფაქტი... რატომ არ იყო იქ პოლიცია?... ეს არის ხელისუფლების პასუხისმგებლობა."

ასევე, 22 ივლისის გამოშვებაში როდესაც, დავით ონოფრიშვილმა (კოალიცია ქართული ოცნების მაჟორიტარი) პროტესტი გამოთქვა მიშა თავხელიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ მიუხედავად ყველაფრისა დღეს საქართველოში არსებული სოციალური დაცვის სისტემა ერთ-ერთი საუკეთესოა, ეკა კვესიტაძემ მას შემდეგი კომენტარით უპასუხა: "ბატონო დავით, თქვენ ხომ კარგად იცით, რომ საქართველო ვერ იქნებოდა შვეიცარია 2004 წლიდან?"

სულ რამდენჯერმე დაფიქსირდა ჟურნალისტის მხრიდან საკუთარი აზრის დაფიქსირების ფაქტი. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია 15 ივლისის გადაცემა, როდესაც კვესიტაძე კითხვას ასეთ შესავალს უკეთებს: „ისევ NDI უნდა მოვიყვანო იმიტომ, რომ ჩვენ არა გვყავს ქვეყანაში უფრო ავტორიტეტული და უფრო სანდო ორგანიზაცია. შევთანხმდეთ ამაზე, რომ უცხოური ორგანიზაცია უფრო მიუკერძოებელია."

წამყვანი მაქსიმალურად აცდის სტუმრებს აზრის გამოთქმას და მხოლოდ მაშინ აწყვეტინებს, თუ სტუმარმა საუბრის თემას გადაუხვია. როდესაც სტუმარი არ ან ვერ პასუხობდა შეკითხვას, წამყვანი ჩაძიების ან კითხვის გამეორების გზით ცდილობს ამომწურავი პასუხის მიღებას დასმულ შეკითხვაზე. მაგალითად, 15 ივლისის გადაცემაში აკაკი მინაშვილს ჟურნალისტი ჩაეკითხა და შეახსენა დასმული კითხვა: "მე კონკრეტულად ამ საკითხზე გეუბნებით, გსმენიათ თუ არა, რომ თანამშრომლებს იბარებენ და სიების მოტანას სთხოვენ?"

ძირითადად, სამივე გადაცემაში სტუმრები თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ და ჟურნალისტი ყველას მიმართ ერთნაირად მომთხოვნი იყო. წამყვანი რესპოდენტებს, უმეტესად, განსხვავებული პოზიციის გამომხატველ კითხვებს უსვამდა. მაგალითად, 15 ივლისის გამოშვებაში წამყვანი აკაკი მინაშვილს საწინააღმდეგო მოსაზრებას უპირისპირებს: "ბატონმა ალასანიამ დღეს თქვა, რომ მას არასოდეს არ უთქვამს, რომ თუ ისინი წააგებდნენ, მაშინ ე.ი. არჩევნები გაყალბდაო."

თუმცა, უნდა აღინიშნოს 2 სექტემბრის "აქცენტები", როდესაც გადაცემის პირველ ნაწილში სტუმრად იმყოფებოდა ჯანდაცვის მინისტრი, ზურაბ ჭიაბერაშვილი. წამყვანი მის მიმართ არ იჩენდა სიმკაცრეს და არ იყო მომთხოვნი. ჟურნალისტი არ გამოთქვამდა საპირისპირო აზრს და არ სვამდა კრიტიკულ შეკითხვებს.

ასევე, ცალკე უნდა გამოვყოთ 22 ივლისის გადაცემა, როდესაც სტუდიაში სტუმრად იყვნენ დავით ონოფრიშვილი კოალიცია ქართული ოცნებიდან და ექსპერტი მიშა თავხელიძე. თოქ-შოუს დასაწყისში ჟურნალისტი დიალოგს სტუმრებს შორის მეტ-ნაკლებად წარმართავდა. თუმცა, მალევე რესპოდენტებს შორის საუბარი გამწვავდა, ისინი გასცდნენ დასმულ შეკითხვებს და წამყვანი ვეღარ ახერხებდა გადაცემის ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებას. მიშა თავხელიძემ რემდენჯერმე გამოიყენა არაკორექტული მიმართვები მეორე სტუმრისა და კოალიცია ქართული ოცნების მისამართით. მაგალითად, მან "ხუმრობით" უთხრა დავით ონოფრიშვილს: "ჩამორჩი ცხოვრებას...". რაზეც წამყვანმა შენიშვნა მისცა. თუმცა, ძირითადად, გადაცემის განმავლობაში მიშა თავხელიძე არ ითვალისწინებდა ჟურნალისტის შენიშვნებს. შესაბამისად, ეკა კვესიტაძემ ვერ მოახერხა ბევრი კითხვის დასმა და გადაცემის თემების სრულად განხილვაც ვერ მოხდა.

მაესტრო

მაესტროზე მონიტორინგი უკეთდება 4 თოქ-შოუს: „სუბიექტური აზრი“ შალვა რამიშვილის და დიანა ტრაპაიძის ავტორობით, „პოლიტმეტრი“, რომელსაც ნინო ჟიჟილაშვილი უძღვება, „არგუმენტები“ თეა სიჭინავაშტან ერთად და „ჩვენ“, რომელიც თამარ ჩიქოვანს მიჰყავს. ჩამოთვლილთაგან პირველი სამი ყოველდღიურად გადის მაესტროს ეთერში. გადაცემა „ჩვენ“, კი მხოლოდ კვირაში ერთხელ.

„სუბიექტურ აზრში“ სტუმრად, ძირითადად, ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი სტუმრები არიან არჩეული. მოწვეულ სტუმრებს შორის თვალშისაცემი იყო ქართული ოცნების წევრების შედარებითი სიჭარბე. გადაცემის მსვლელობისას ორივე ჟურნალისტი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული დისკუსიაში. თოქ-შოუს სათაურიდან გამომდინარე წამყვანები არ მალავენ თავიანთ სუბეიქტურ აზრს და გადაცემის მსვლელობისას ბევრჯერ, ღიად აფიქსირებენ მას. შალვა რამიშვილი უფრო ხშირად და ღიად აფიქსირებს თავის პოლიტიკურ სიმპათიებს, დიანა ტრაპაიძე, კი შედარებით უფრო თავშეკავებულია.

„პოლიტმეტრში“ მოინტორინგის პერიოდში ეთერი დაეთმო, როგორც ოპოზიციის სხვადასხვა წარმომადგენლებს, ასევე მმართველ გუნდს. მაესტროზე გასულ თოქ-შოუებს შორის „პოლიტმეტრი” ერთადერთი იყო, რომელსაც სტუმრობდა პრემიერმინისტრი ვანო მერაბიშვილი. აღსანიშნავია, რომ „სუბიექტური აზრისა” და „არგუმენტებისგან” განსხვავებით, პოლიტმეტრი ოპოზიციური სპექტრის მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. წამყვანი, უმეტესად, თანაბარი კრიტიკულობით გამოირჩევა როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიების მიმართ. ცდილობს, თავად გაუწიოს ოპონირება გადაცემის სტუმარს და მისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსიროს. თუმცა, იშვიათად ის თავის პოზიციას ფარულად თუ გაკვრით მაინც აფიქსირებს. განსაკუთრებით ეს გამოჩნდა მაშინ, როდესაც თემა ეხებოდა ჟურნალისტების ცემის ფაქტს და მაესტროს თეფშების დაყადაღებას.

„არგუმენტებში“ სტუმრად მოწვეული იყვნენ როგორც მმართველი გუნდის, ასევე კოალიცია ქართული ოცნების წევრები. თეა სიჭინავა აქტიურადაა ჩართული გადაცემაში და ცდილობს

კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღოს. ზოგჯერ ღიად თუ ირიბად გამოხატავს საკუთარ მოსაზრებასა და პოზიციას და არც გადაცემის სტუმრები არიან ყოველთვის თანაბარ მდგომარეობაში. წამყვანის დამოკიდებულება პროსახელისუფლებო სტუმრებისადმი გამოირჩევა მეტი კრიტიკულობით. თუმცა, ხშირად წამყვანი ცდილობს სტუმრებს დამატებითი კითხვები დაუსვას, ჩაეძიოს მათ ან მეორე მხარეს მისცეს მოსაზრების დაფიქსირების საშუალება.

რაც შეეხება გადაცემას „ჩვენ“, მონიტორინგის პერიოდში სულ 7 გადაცემა გავიდა. გადაცემას ცალკეული ოპოზიციური პარტიის წევრები და ექსპერტები სტუმრობდნენ. გადაცემაში ჟურნალისტი და სტუმრები, მეტწილად, ერთსა და იმავე პოზიციას იზიარებენ, რაც უმეტესად ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევა. ჟურნალისტი ლმობიერია მათ მიმართ, არ აწყვეტინებს საუბარს, აცდის აზრის დასრულებას და იშვიათად ეძიება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ასევე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც წამყვანი ღიად აფიქსირებს თავის აზრს სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით.

„სუბეიქტური აზრი“

„სუბიექტური აზრი” ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 8 საათსა და 5 წუთზე მაესტროს ეთერში. მისი წამყვანები არიან შალვა რამიშვილი და დიანა ტრაპაიძე. გადაცემა ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მოწვეულია ”თანაწამყვანი” და გადაცემა დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობს. ხოლო, მეორე ნაწილში მოწვეულია სტუმარი, რომელიც უშუალოდ სტუდიაში ზის ან ხდება მისი პირდაპირი ჩართვა.

მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე „სუბიექტური აზრის” სულ 40 გადაცემა გავიდა და თითოეული საშუალოდ 50 წუთი გაგრძელდა.

ამ პერიოდში გასული „სუბიექტური აზრის” თემები, ძირითადად, ემთხვეოდა ამავე არხზე არსებულ თოქ-შოუ ”არგუმენტები”-ს თემებს (წამყვანი თეა სიჭინავა) და მიმდინარე აქტუალურ საკითხებს ფარავდა. გადაცემაში განხილულ იქნა ისეთი საკითხები როგორიცაა:

- არჩევნები (საარჩევნო სიები, წინასაარჩევნო გარემო, პოლიტიკური პარტიების კამპანია),
- NDI-ს და IRI-ს კვლევები,
- კოალიცია ქართულ ოცნებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, (კარალეთში მომხდარი ინცინდენტი, ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოს ბიუჯეტში გადარიცხული 80 მილიონი ლარი, ბიძინა ივანიშვილის ექვსპუნქტიანი შეთავაზება),
- მედია (მაესტროს დაყადაღებული ანტენები, ”Must-carry”-ს და ”Must-offer”-ის პრინციპები, ჟურნალისტების უფლებები და მათი დევნა),
- ”აგვისტოს ომი“,
- ევროპარლამენტში გამართული დებატები,
- ლაფანყურის ინციდენტი და სხვა.

იშვიათად, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე თემას ერთზე მეტი გადაცემა დაეთმო. მაგალითად კარალეთის ინციდენტზე იმსჯელეს 11, 13 და 18 ივლისს, ხოლო NDI-ს კვლევებზე 9, 10 და 16 ივლისს.

როგორც უკვე აღინიშნა, გადაცემის პირველ ნაწილში მოწვეულია ”თანაწამყვანი”. იგი არა როგორც სტუმრის, არამედ წამყვანის სტატუსით სარგებლობს და საუბრობს გადაცემაში. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში გადაცემის თანაწამყვანად, ძირითადად, ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი სტუმრები არიან არჩეული. მონიტორინგის პერიოდში ”თანაწამყვანები” იყვნენ: იაგო კაჭკაჭიშვილი (სოციოლოგი),ზაზა შათირიშვილი (ფილოსოფოსი), შორენა შავერდაშვილი (ჟურნალ ”ლიბერალის” რედაქტორი), თეა წულუკიანი (კოალიცია ქართული ოცნება), ირაკლი კაკაბაძე (მწერალი/პროფესორი), ზურაბ ქარუმიძე (მწერალი), თამარ ჩუგოშვილი (”საია”-ს თავმჯდომარე) და ნინო ლომჯარია (ISFED-ის აღმასრულებელი დირექტორი).

გადაცემის მეორე ნაწილში მოწვეულ სტუმრებს შორის თვალშისაცემი იყო ქართული ოცნების წევრების შედარებითი სიჭარბე. კოალიციიდან მოწვეულნი იყვნენ: ირაკლი ალასანია, გია ყარყარაშვილი, თინა ხიდაშელი, გია ხუხაშვილი, დავით უსუფაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, ირაკლი ტრიპოლსკი, თედო ჯაფარიძე, ზვიად ძიძიგური, მამუკა არეშიძე,

მაია ფანჯიკიძე. აქვე აღსანიშნავია, რომ თინა ხიდაშელი 2-ჯერ სტუმრობდა თოქ-შოუს (27 ივლისს და 23 აგვისტოს), ასევე, ლევან ბერძენიშვილიც (10 და 27 აგვისტოს). სხვა სტუმრები, ძირითადად, ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტები, საზოგადო მოღვაწეები და მედიის წარმომადგენლები იყვნენ. სულ რამდენჯერმე იყვნენ მოწვეულნი ოპოზიციის სხვა პარტიების წევრები, ჯონდი ბაღათურია (ქართული დასი), გიორგი თარგამაძე (ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა), ფიქრია ჩიხრაძე (ახალი მემარჯვენეები), დავით გამყრელიძე (ახალი მემარჯვენეები). 7 ივლისის "სუბიექტური აზრის" სტუმარი, ასევე, იყო მამუკა კაციტაძე (ახალი მემარჯვენეები), თუმცა ის წარმოდგენილი იყო, როგორც "ამომრჩეველთა სიის დაზუსტების კომისიის" თავმჯდომარე. მონიტორინგის პერიოდში სტუმრებს შორის არავინ ყოფილა ხელისუფლების, მმართველი გუნდისა ან პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან. თუმცა აღსანიშნავია, რომ 11 ივლისს გადაცემის სტუმარი იყო გიგა ნასარიძე, რომელიც ხელისუფლებისადმი თავის მხარდაჭერას არ მალავს.

გადაცემის მსვლელობისას ორივე ჟურნალისტი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული დისკუსიაში. თოქ-შოუს სათაურიდან გამომდინარე წამყვანები არ მალავენ თავიანთ სუბეიქტურ აზრს და გადაცემის მსვლელობისას ბევრჯერ, ღიად აფიქსირებენ მას. შალვა რამიშვილი ხშირად, ღიად აფიქსირებს თავის პოლიტიკურ სიმპათიებს და თამამად ამბობს, „მე ვარ ბიძინა ივანიშვილის მომხრე, ამიტომ მე სუბიექტური ვარ." (24 ივლისი). წამყვანები ასევე ღიად გამოთქვამენ უკმაყოფილებას ქვეყნის ხელისუფლებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების მიმართ. მათ საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ საქართველოს პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის მიმართ, რაც არაერთხელ იკვეთება მათ შეკითხვებსა თუ მსჯელობაში.

მაგალითები:

შალვა რამიშვილი: „ორი გზა ჰქონდა ხელისუფლებას. ერთი გზა ის, რომ რაღაცნაირად კონსტრუქციულ ფარგლებში ეწარმოებინა ურთიერთობა ოპოზიციასთან და ოპოზიციის

კამპანიას მეტ-ნაკლებად ხიფათის გარეშე ჩაევლო; და მეორე გზა ის, რასაც ეხლა ვხედავთ, დაყადაღება, წართმევა, ცემა-ტყეპა და სიველურე.“ 12 ივლისი

შალვა რამიშვილი საუბრობს ხელისუფლების მიერ წარდგენილ მაჟორიტარ დეპუტატებზე მარიკა ვერულაშვილსა და პეტრე ცისკარიშვილზე: ”მარიკა ისეთია, არ აღიზიანებს არავის. აი, პეტრე ცოტას ხულიგნობს. იქ ვიღაცეებს ცემდა ხოლმე ადრე. პეტრე უფრო დაგვამახსოვრდა იმით, რომ ერთი ჩვენ, თქვენს თანაპარტიელს ფიზიკური შეურაცხოფა მიაყენა. აი, ესეთი მაჟორიტარები არიან.“ 3 აგვისტო

21 აგვისტოს გადაცემაში, იმის შემდეგ რაც გაუშვეს ნაწყვეტი პრეზიდენტის გამოსვლიდან, ”არჩევნებში გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარება, უბრალოდ ძაან მაგრად უნდა მოვიგოთ.” შალვა რამიშვილმა ეს ასე შეაფასა: ”არა ეს ნერვიულობს, გაიგე? გეუბნები მე. რაღაცა ხდება შიგნით. არა მგონია, რომ 25-30%-ზე მეტი მხარდაჭერა ჰქონდეს. როცა ამას უყურებს ხვდება რამდენია გასაყალბებელი, ეს ნერვებს უშლის და ამიტომ ყვირის, რომ ”ისე მაგრად უნდა მოვიგოთ”... იცის რა ტიტანური შრომა აქვს გასაწევი.“

შალვა რამიშვილი: „მიშა ამბობს, რომ არის ლიბერალი, სინამდვილეში არის „ყველაფერშიკი“. მიშა არის „ყველაფერშიკი“, როგორც აწყობს, ისე მღერის, მოაწყო ათას ლარიანი ვაუჩერის დარიგება!... 22 აგვისტო

შალვა რამიშვილი: „ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ ეს ვერსია, მემგონი, რომ ხელისუფლება რაღაცნაირად ხელოვნურად ძაბავს ვითარებას, რათა შემდგომ თავის პოლიტიკურ პიარს მეტ-ნაკლებად მოარგოს იგი.“ 29 აგვისტო

აღსანიშნავია, რომ დიანა ტრაპაიძე შედარებით უფრო თავშეკავებულია. ის, ასე ღიად და ხშირად არ აფიქსირებს თავის პოლიტიკურ შეხედულებებს და უფრო ცდილობს შედარებით ობიექტური იყოს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს თოქ-შოუს საერთო შთაბეჭდილებას არ ცვლის. ჟურნალისტების დამოკიდებულება საკითხებისადმი არ იცვლება და მათი განწყობა მაინც ადვილი შესამჩნევი რჩება.

მთელი გადაცემის მსვლელობისას განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა შალვა რამიშვილი. როგორც უკვე აღინიშნა პირველ ბლოკში სტუმრების შეხედულებები დიდად არ განსხვავდება წამყვანების შეხედულებებისგან. ამიტომ ამ ბლოკში საუბარი არ მიმდინარეობს ინტენსიური კითხვა-პასუხის რეჟიმში. ფორმატი უფრო მეტად თავისუფალია: ჟურნალისტიც და სტუმრებიც საუბრობენ ღიად და დაუფარავად საკუთარ პოზიციებსა თუ მოსაზრებებზე. აქედან გამომდინარე, იგი პირველ ბლოკში კითხვებს ნაკლებად სვამს და უბრალოდ აფიქსირებს საკუთარ დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში.

არის ისეთი შემთხვევებიც როცა შალვა რამიშვილი იმდენად ერთვება საკითხის განხილვაში, რომ არც თანაწამყანს და არც მის კოლეგას თითქმის არ აძლევს საშუალებას ისაუბრონ და საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ. მაგალითად, 24 ივლისს როდესაც გადაცემის თანაწამყვანი შორენა შავერდაშვილი შალვა რამიშვილმა მას კამათის დროს ასეთი რამ უთხრა: „მაცდი რომ ვილაპარაკო? თუ შენ გინდა, რომ რაღაცეები თქვა და მე არაფერი. თუ მაცდი გეტყვი“. არის მომენტები, როდესაც ჟურნალისტებიც და მისი სტუმრებიც ერთხმად საუბრობენ და არ აცდიან საუბარს ერთმანეთს.

მეორე ბლოკშიც სტუმრების უმრავლესობა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილია. გამომდინარე იქიდან, რომ სტუმრების მოსაზრებები უმეტეს შემთხვევებში ემთხვევა წამყვანების პოზიციას, მათ მიერ დასმული კითხვები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ გამოირჩევა კრიტიკული შინაარსით.

გადაცემის ამ ნაწილში წამყვანები შედარებით ნაკლებად აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს და მოწვეულ სტუმარს საშუალებას აძლევენ დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცეს და თავისი აზრი დააფიქსიროს. თუმცა ამ ნაწილშიც შალვა რამიშვილი საკმაოდ აქტიურია. კითხვებს, ძირითადად, დიანა ტრაპაიძე სვამს, რამიშვილი კი აქტიურად აფიქისრებს საკუთარ მოსაზრებებს. არის შემთხვევები, როდესაც წამყვანები აწყვეტინებენ სტუმრებს საუბარს და არ აცდიან აზრის დასრულებას. ხდება ისეც, რომ ტრაპაიძის დასმულ შეკითხვაზე სტუმრის ნაცვლად რამიშვილი სცემს პასუხს.

მონიტორინგის პერიოდში იყო შემთხვევვი, როდესაც გადაცემას მარტო შალვა რამიშვილი ან მარტო დიანა ტრაპაიძე უძღვებოდნენ. ეს გადაცემები შედარებით მშვიდად მიმდინარეობდა. დიანა ტრაპაიძე მეტნაკლებად აცდიდა სტუმარს აზრის დაფიქსირებას და თანაწამყვანთან ერთადაც საკმაოდ მშვიდი საუბარი მიმდინარეობდა. მწვავე დებატების გარეშე ჩაიარა გადაცემამაც, სადაც მხოლოდ შალვა რამიშვილი იყო წამყვანი.

„პოლიტმეტრი“

„პოლიტმეტრი” ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 22 საათსა 20 წუთზე და მისი წამყვანია ნინო ჟიჟილაშვილი. გადაცემა სამი ნაწილისგან შედგება, თითოეულში თითო სტუმარი ზის სტუდიაში. ჩვეულებრივ, თოქშოუს მეორე ნაწილში ხდება პირდაპირი ჩართვა კიდევ ორ სტუმართან, რომლებიც სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ და გადაცემა უფრო დებატების ფორმატში გადადის.

მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე „პოლიტმეტრის” სულ 40 გადაცემა გავიდა. გადაცემების ხანგრძლივობა მერყეობდა 1-დან 2 საათამდე, მეტწილად ის საათნახევარს გრძელდებოდა.

მონიტორინგის განმავლობაში „პოლიტმეტრში” გასული თემები, პრაქტიკულად, სრულად მოიცავდა მიმდინარე ყველაზე აქტუალურ საკითხებს. გასული 40 გადაცემის მანძილზე მრავალი თემის განხილვა მოხდა:

- არჩევნები (პოლიტიკური პარტიების პროგრამები, რეიტინგები, „ეუთო” წინასაარჩევნოდ საქართველოში),
- მაესტროს დაყადაღებული ანტენები,
- კარალეთის ინციდენტი,
- ბიძინა ივანიშვილის ჯარიმა,
- ქართუ ბანკის დაყადაღება,
- ადამიანის უფლებები,

- ბეშუმის ინციდენტი,
- „აგვისტოს ომი“,
- მიხეილ სააკაშვილის გამოსვლები,
- ვანო მერაბიშვილის პრემიერმინისტრად დანიშვნა,
- ლაფანყურის ინციდენტი,
- Must-carry-ს და Must-offer-ის პრინციპები,
- სოციოლოგიური კვლევები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ „პოლიტმეტრის” გადაცემები დაეთმო როგორც ოპოზიციის სხვადასხვა წარმომადგენლებს, ასევე მმართველ გუნდს. მაგალითად, 18 ივლისის გადაცემის პირველი ნაწილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამებს მიეძღვნა. 17 ივლისის გადაცემის ნაწილში საუბარი იყო ქართული ოცნების გურჯაანის მაჟორიტარობის კანდიდატსა და სამოქმედო გეგმაზე, ხოლო 13 აგვისტოს გადაცემა - ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარ დეპუტატებსა და მათ სამომავლო გეგმებზე.

მართალია, ოპოზიციისათვის დათმობილ თემებში ლიდერობდა კოალიცია ქართულ ოცნებასთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ გადაცემების შედარებით მცირე ნაწილი მაინც დაეთმო ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, ახალ მემარჯვენეებსა და დემოკრატიული მოძრაობა - ერთიან საქართველოს.

„პოლიტმეტრი” გამოირჩეოდა სტუმრების მრავალფეროვნების მხრივაც, მხარეები საკმაოდ დაბალანსებულად იყვნენ წარმოდგენილნი და რესპოდენტები გადაცემის თემების შესაბამისად იყვნენ შერჩეულნი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე გასულ თოქშოუებს შორის „პოლიტმეტრი” ერთადერთი იყო, რომელსაც სტუმრებდა პრემიერმინისტრი ვანო მერაბიშვილი და ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი. ასევე, შედარებით იშვიათად ხდებოდა სხვადასხვა გადაცემაში ერთი და იგივე რესპოდენტების მოწვევა.

აღსანიშნავია, რომ „სუბიექტური აზრისა” და „არგუმენტებისგან” განსხვავებით, პოლიტმეტრი ოპოზიციის წარმომადგენლების მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. კოალიცია ქართული ოცნების წევრების გარდა, გადაცემას სტუმრობდნენ: ახალი მემარჯვენეები, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ქართული დასი, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის, ლეიბორისტული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, თავისუფალი საქართველო, ამომრჩეველთა ლიგა, სახალხო კრება, საქართველოს დემოკრატიული პარტია.

გადაცემის ბოლოს ჟიჟილაშვილი კითხულობდა ფეისბუქის გამოხმაურებებს გადაცემის თემებსა და სტუმრებზე. უმეტეს შემთხვევაში კომენტარები ხელისუფლების საწინააღმდეგო იყო.

ნინო ჟიჟილაშვილი უმეტესად თანაბარი კრიტიკულობით გამოირჩევა როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიების მიმართ. თუმცა, სახელისუფლებო წარმომადგენლის ან ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი რესპონდენტის სტუმრობისას ჟიჟილაშვილი უფრო მომთხოვნ კითხვებს სვამს და მეტად ეძიება მათ.

ნინო ჟიჟილაშვილს გადაცემაში ძირითადად წარმოდგენილი ჰყავს ორივე მხარე. თუმცა, მეორე მხარის არარსებობის შემთხვევაში, იგი აცხადებს მისი არყოფნის მიზეზს ან მწუხარებას გამოთქვამს ამის გამო და ცდილობს, თავად გაუწიოს ოპონირებას გადაცემის სტუმარს და მისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსიროს. ნინო ჟიჟილაშვილი ყოველთვის აქტიურადაა გადაცემაში ჩართული, სვამს საკმაოდ კრიტიკულ და მომთხოვნ შეკითხვებს და ითხოვს კონკრეტულ პასუხებს გადაცემის სტუმრებისგან. ძირითადად სტუმრებს აზრის გამოთქმას აცდის. თუმცა, ზოგჯერ აწყვეტინებს მათ, როდესაც სტუმრები თავს არიდებენ პასუხს და სხვა თემაზე გადააქვთ საუბარი, ან რომელიმე სტუმარს საკმარისზე მეტად უგრძელდება პასუხი და გადაცემის სხვა სტუმარი ფუნქციის გარეშე რჩება.

22 აგვისტოს გადაცემაში, რომელიც ეხებოდა ქრისტიან-დემოკრატების მიერ ქართული ოცნების მიმართ კრიტიკული განცხადებების გაკეთებას, ჟურნალისტი აწყვეტინებს საუბარს

ვეფხვაძეს და რამდენჯერმე უმეორებს: „თქვენი დღევანდელი პოზიციაც და თავდასხმაც იყო ანალოგიური, ზუსტად იდენტური, ნაციონალური მოძრაობის.“

ნინო ჟიჟილაშვილი ცდილობს უბრალოდ მოდერატორი იყოს და ობიეტური ინფორმაცია მიიღოს მაყურებელმა მისი გადაცემის ყურებისას. თუმცა, იშვიათად ის თავის პოზიციას ფარულად თუ გაკვრით მაინც აფიქსირებს. მაგალითად, 7 აგვისტოს გადაცემაში ჟიჟილაშვილი ამბობს: „საზოგადოებამ პრეზიდენტის ცრემლი ორჯერ ნახა. ეს ორჯერვე წინასაარჩევნო კამპანიას დაემთხვა. პირველად 2008-ში საპრეზიდენტოს დროს, მეორედ ახლა, საპარლამენტო არჩევნების წინ. საგულისხმოა, რომ ეს კადრები ორჯერვე პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა, ანუ პრეზიდენტს სურდა მისი ცრემლი საზოგადოებას ენახა.“

22 აგვისტოს გადაცემაში, ქრისტიან-დემოკრატების მიმართ პრეზიდენტის დამოკიდებულებაზე საუბრისას ნინო ჟიჟილაშვილი ეუბნება ლევან ვეფხვაძეს: „ცოტა გიფრთხილდებათ პრეზიდენტი, თან ცოტა გიბრაზდებათ, თან ცოტა სიყვარულით გიფრთხილდებათ, თან ცოტა სიყვარულით გიბრაზდებათ, თან ცოტა გიფრთხილდებათ.“

8 აგვისტოს გადაცემაში ჟიჟილაშვილი აქტიურ ოპონირებას უწევს გია თორთლაძეს. ზოგ შემთხვევაში მისი კითხვები ირონიულია: „როგორ შეელევით პოლიტიკას? როგორც შეელიეთ მთას?“ კონტექსტში ეს კითხვა ირონიულად ჟღერდა. ამაზე თორთლაძის პასუხი იყო, რომ ის კიდევ ბევრ საქმეს აკეთებს პარალელურად. „მაშინ რომელიღაც საქმეს აკლებთ“ – ასეთი იყო ჟიჟილაშვილის პასუხი.

იმავე გადაცემაში ჟიჟილაშვილი დიალოგში შედის გია თორთლაძესთან, რომელიც ამ დროს აქტიურად აკრიტიკებს ოპოზიციას, კერძოდ, ივანიშვილსა და ქართულ ოცნებას. ის ამბობს, რომ ივანიშვილი ფულით ცდილობს ყველას ყიდვას. ამაზე ჟიჟილაშვილი პასუხობს: „ბატონო გია, თქვენ რა იცით, რომ ფულით იყიდა? ინფორმაცია საიდან გაქვთ ამასთან დაკავშირებით? ასე თქვენზეც ამბობენ, მიხეილ სააკაშვილმა ფულით იყიდაო და პარლამენტში დანიშნული ოპოზიციააო. ასე, ჩვენც შეიძლება დავიჯეროთ, მაგრამ მე არ მჯერა ამის მაგალითად.“

11 ივლისის გადაცემაში საკითხისადმი წამყვანის დამოკიდებულება და პოზიცია აშკარად გამოჩნდა მაესტროს თეფშების დაყადაღების თემაზე, სადაც ჟურნალისტმა ვერ დამალა თავისი აღშფოთება და უარყოფითი დამოკიდებულება მომხდარის მიმართ. გადაცემის თემა სწორედ იმ არხს შეეხებოდა, რომელსაც წამყვანი თავად წარმოადგენს, ანუ მაესტროს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წამყვანი საკუთარ მოსაზრებას გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით აცხადებდა - „ბატონო გია, მე მინდა დაგარწმუნოთ, რომ მაესტრო არის ყველაზე დაბალანსებული არხი, ეს არის ჩემი პირადი პოზიცია. ეუთოს ბოლო კვლევების შედეგად მაესტროს ტელეეთერი არის ყველაზე დაბალანსებული.“ 11 ივლისი

წამყვანის დამოკიდებულების მხრივ სტუმრები თითქმის ყოველთვის თანაბარ მდგომარეობაში არიან, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, წამყვანი არ ცდილობს რომელიმე მათგანის დისკრიმინაციას, ან პირიქით, მათ გაპიარებას და წინა პლანზე წამოწევას.

სტუმრებთან არათანაბარი დამოკიდებულება გამოავლინა მაშინ, როცა თემა ეხებოდა ჟურნალისტების ცემის ფაქტს და მაესტროს თეფშების დაყადაღებას.

როცა ჟურნალისტებთან დაკავშირებით მოწვეული ჰყავდა ლუბა ელიაშვილი და ქეთი ხატიაშვილი, რომელიც ჟურნალისტებთან დაკავშირებულ ინციდენტებში ისევ ჟურნალისტებს ადანაშაულებდა, ჟიჟილაშვილმა ქეთი ხატიაშვილს არაერთხელ დაუსვა კითხვა, იყო თუ არა ზოგიერთი ჟურნალისტი ორგანიზებულად მოქმედი ჯგუფის წარმომადგენელი და იყო თუ არა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ეს ქმედებები. თითქოს ჟიჟილაშვილს უნდოდა ხატიაშვილს ხელისუფლება დაედანაშაულებინა ამ ინციდენტებში ან ეხსენებინა მაინც. ხატიაშვილი კი ჯიუტად კვლავ ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმზე საუბრობდა, რაშიც გადაცემის წამყვანი აშკარად არ ეთანხმებოდა.

მსგავსი შემთხვევა იყო 19 ივლისის გადაცემა მაესტროს თეფშებდან დაკავშირებით, როცა „პოლიტმეტრს“ სტუდიაში სტუმრად ჰყავდა ორი მხარე: ვასილ მაღლაფერიძე და ნიკა ჩიტაძე. ეს უკანასკნელი ხელისუფლებისადმი ლოიალურად იყო განწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ თემა ეხებოდა ივანიშვილის მიერ თბილისის მაჟორიტარების დასახელებას,

მაღლაფერიძემ წამოჭრა ანტენების თემა, დაუსვა ოპონენტს კითხვა, ჟიჟილაშვილიც აჰყვა და ჩაეძია ჩიტაძეს, არაერთხელ ჰკითხა, მოსწონდა თუ არა მას ანტენების დაყადაღების ფაქტი.

ქვემოთ მოცემულია მაგალითი იმისა, თუ როგორ დაჟინებით სთხოვს ნინო ჟიჟილაშვილი ნიკა ჩიტაძეს ერთსა და იმავე კითხვაზე პასუხის გაცემას ძირითადი თემიდან განსხვავებულ ანტენების დაყადაღების ფაქტზე.

19:28 ნინო: ,,მოდით, მაესტროს თეფშების დაყადაღებაზე ვისაუბროთ [მიმართავს ნიკას].“

19:58 ,,თქვენ თუ გაქვთ ეს კითხვები, რატომ ვარიგებდით ჩვენ თეფშებს.. მე შემიძლია ნაწილობრივ გიპასუხოთ.“

20:35 ,,მეც მაინტერესებს ეს შეკითხვა, სხვათა შორის, მოგწონთ თუ არ მოგწონთ?“

21:15 ,,თქვენ ფიქრობთ, რომ ქვეყანაში სასამართლო არის თავისუფალი, ბატონო ნიკა?“

22:00 ,,თქვენი პოზიცია როგორია, მოგწონთ თეფშების დაყადაღება თუ არ მოგწონთ თეფშების დაყადაღება... თუ შეგიძლიათ, კი ან არა მიპასუხეთ.“

22:10 ,,სასამართლომ უკვე გაარკვია, დაგვიყადაღა, მოგწონთ თუ არ მოგწონთ ეს ამბავი?“

22:20 ,,თანაგრძნობა მიღებულია, მაგრამ პასუხის მიღება მინდა, მოგწონთ თუ არ მოგწონთ?

[მომწონს - უპასუხა ნიკა ჩიტაძემ]

22:44 „არ ვაპირებდი ამ დოზით მაესტროს თეფშებზე საუბარს, უბრალოდ შეგვიყოლია საუბარმა.“

წამყვანი ცდილობს სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვებას და სტუმარს უმეორებს კითხვას უფრო ზუსტი პასუხის მიღების მიზნით. იგი ხშირად იყენებს ფრაზებს „უფრო კონკრეტულად?“, „მაგალითად?“, „ვის გულისხმობთ?“, რაც სტუმრისგან ამომწურავი პასუხის მიღების გარანტიას იძლევა.

წამყვანი ხშირად იშველიებს წყაროებს. კითხვებს სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სვამს და ყოველთვის ასახელებს ინფორმაციის კონკრეტულ წყაროს.

„არგუმენტები”

„არგუმენტები” ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 8 საათზე და მისი წამყვანია თეა სიჭინავა. ძირითადად, „არგუმენტები” დებატების ფორმატითაა წარმოდგენილი და სტუდიაში ორი სტუმარია მოწვეული.

მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე „არგუმენტების” სულ 39 გადაცემა გავიდა. გადაცემები საშუალოდ 40 წუთი გრძელდება, თუმცა იყო ერთი შემთხვევა, როდესაც 31 აგვისტოს, არხის რეორგანიზაციის გამო, „არგუმენტებს” მხოლოდ 13 წუთი დაეთმო. გასული გადაცემები თემების თვალსაზრისით მრავალფეროვანი იყო და ძირითადად, მიმდინარე აქტუალურ საკითხებს ფარავდა. განხილულ იქნა შემდეგი თემები:

- არჩევნები (საარჩევნო სიები და წინასაარჩევნო გარემო)
- ევროპარლამენტში გამართული დებატები
- NDI-ს კვლევის შედეგები
- მაესტროს დაყადაღებული ანტენები
- კარალეთის ინცინდენტი,
- პოლიტიკური პარტიები
- ბიძინა ივანიშვილი
- სტიქია კახეთში

- მედია (”Must-carry”-ს და ”Must-offer”-ის პრინციპი, მედია გარემო)
- ”აგვისტოს ომი”
- ტერიტორიული მთლიანობის საკითხი
- ლაფანყურის ინციდენტი და სხვა.

სტუმრების თვალსაზრისით მონიტორინგის პერიოდში გასული თითქმის ყველა გადაცემა დაბალანსებული და მრავალფეროვანი იყო. მოწვეული იყო როგორც მმართველი გუნდის, ასევე კოალიცია ქართული ოცნების წევრები, სხვა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, მედიის წარმომადგენლები და ექსპერტები. ზოგადად, სტუდიაში თანაბრად იყო წარმოდგენილი ორი მხარე ანუ ორი სხვადასხვა პოზიციის მქონე რესპოდენტი. დროის გადანაწილებაც სტუმრებს შორის მეტ-ნაკლებად თანაბარია და გადაცემის ხანგრძლივობასა ან სტუმრების რაოდენობაზეა დამოკიდებული.

ვინაიდან, ”არგუმენტებში”, ძირითადად, ორი მხარეა მოწვეული, გადაცემა დებატების და დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობს. თოქ-შოუს თემები თითქმის ყოველთვის მიმდინარე აქტუალურ საკითხებს ეხმიანება. ჟურნალისტი, მეტწილად, აქტიურადაა ჩართული გადაცემაში და ცდილობს კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღოს.

მართალია, გადაცემებში წამყვანი ცდილობდა არ დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი და ნეიტრალურობა შეენარჩუნებინა, თუმცა ზოგჯერ ღიად თუ ირიბად ის მაინც გამოხატავდა საკუთარ მოსაზრებასა და პოზიციას. მაგალითად, 13 ივლისის გადაცემაში თეა სიჭინავა ეუბნება თეა თუთბერიძეს (”თავისუფლების ინსტიტუტი”): ”ერედვის მუნიციპალიტეტის წევრს რა უნდა ახლა ამ შეხვედრაზე, შეგიძლიათ მითხრათ? მინისტრის დას, მინისტრის მამას რატომ უნდა უჩნდებოდეთ სურვილი ჩაშალოს ისეთი შეხვედრები მოსახლეობასთან, როგორიც ჰქონდათ ქართული ოცნების აქტივისტებს ბორჯომში?” ამავე გადაცემაში, თეა თუთბერიძის არგუმენტზე, რომ საჯარო მოხელის ოჯახის წევრებსაც აქვთ უფლება დაესწრონ ოპოზიციურ შეხვედრებს, წამყვანმა მიუთითა: ”დაესწროს არა, თეა, მცდელობა ჰქონდეს, რომ ჩაშალოს ესეთი შეხვედრა, ამაზეა საუბარი.”

19 ივლისის გადაცემაში თეა სიჭინავა ეხმიანება ინფო 9-ის ჟურნალისტების დევნის საკითხს და პრაქტიკულად, საკუთარ მოსაზრებას აფიქსირებს, როცა ამბობს: "მე პროდიუსერს ვთხოვ, თუ არის შესაძლებელი, თუ სერვერში მოიძებნება ერთ-ერთი ვიდეო რგოლი მაინც, რომელიც ნახოს ქალბატონმა მაიამ და საზოგადოებასაც შევახსენოთ, რა პირობებში უწევთ ამ შემთხვევაში ინფო 9-ის თანამშრომლებს მუშაობა. ეს არის დევნა, მე არ მომერიდება ამის თქმა, ეს არის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა და ამაზე არ ხდება რეაგირება, ამიტომ ვსვამ ამ კითხვას."

2 აგვისტოს გადაცემაში, როდესაც სოზარ სუბარი საუბრობს არჩევნების 1 ოქტომბერს დანიშვნის შესახებ და ამ თარიღს სიმბოლოების კონტექსტში განიხილავს, თეა სიჭინავა ამბობს: "სიმბოლოები, ზოგადად, უფრო ხელისუფლებას უყვარს." ასევე, წამყვანი აფიქსირებდა საკუთარ აზრს, როდესაც თემა ეხებოდა მაესტროს ანტენების დაყადაღებას 11 ივლისის გადაცემაში: "ასეთი უწყინარი ანტენები, აღმოჩნდა, რომ ძალიან საშიშია ამ ქვეყანაში."

უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემის სტუმრები არ არიან ყოველთვის თანაბარ მდგომარეობაში. წამყვანის დამოკიდებულება პროსახელისუფლებო სტუმრებისადმი გამოირჩევა მეტი კრიტიკულობით, ვიდრე ოპოზიციურად განწყობილი რესპოდენტებისადმი. წამყვანი უფრო ხშირად შედიოდა პოლემიკაში ასეთ სტუმრებთან და უფრო მწვავე ოპონირებასაც უწევდა მათ. მაგალითად, 24 აგვისტოს გადაცემაში, როდესაც თემა ეხებოდა ხელისუფლების მიერ მოწვეული საერთაშორისო თანამეგობრობის დასკვნებს და სტუმრები იყვნენ ვიქტორ დოლიძე (კოალიცია ქართული ოცნება) და გიორგი კანდელაკი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), კანდელაკს დისკუსიის გამართვა არამარტო მეორე სტუმართან, არამედ თავად გადაცემის წამყვანთანაც მოუწია. ასევე, 27 აგვისტოს თოქ-შოუში თეა სიჭინავა გიგა ნასარიძის ("საქართველო არ იყიდებას" ლიდერი) მისამართით ამბობს: "გწყალობთ აუდიტის სამსახური. არ ვიცი, რატომღაც ესიმპათიურებით ქალბატონ ნათია მოგელაძეს, გიგა."

28 აგვისტოს გადაცემაში თეა სიჭინავა მეტ ლმობიერებას იჩენს ირაკლი მელაშვილის (კოალიცია "არჩევნის თავისუფლებისათვის") მიმართ, რომელიც კონტროლის პალატის

კეთილსინდისიერებას ეჭვქვეშ აყენებს და ნაციონალურ მოძრაობას კანონის დარღვევაში ადანაშაულებს. ამის საპირისპიროდ, წამყვანის კითხვები უფრო მომთხოვნია თეა თუთბერიძის (”თავისუფლების ინსტიტუტი”) მისამართით.

წამყვანი სტუმრებს ყოველთვის არ აცდის აზრის დასრულებას და აწყვეტინებს საუბარს, რათა დაუსვას დამატებითი კითხვები, ჩაეძიოს მას ან მეორე მხარეს მისცეს მოსაზრების დაფიქსირების საშუალება. მაგალითად, 23 ივლისის გადაცემაში, როდესაც ვახტანგ ბალავაძე (ერთიანი ნაიცონალური მოძრაობა) საუბრობდა კახეთის სტიქიის პოლიტიზირებაზე, თეა სიჭინავა მას ჩაეკითხა: ”და ახდენს ქართული ოცნება ამას? ამას ახდენს ქართული ოცნება, პოლიტიზირებას ამ საკითხის?”

ჩაძიებასთან ერთად ჟურნალსიტი, ამასთანავე, ცდილობს უფრო კონკრეტული და ზუსტი პასუხი მიიღოს რესპოდენტებისგან. 26 ივლისის გადაცემაში თეა სიჭინავა კახი კალაძეს უფრო ზუსტი პასუხის მიღების მიზნით ჩაეკითხა: ”ვიდრე პოლიტიკურ შეფასებით ნაწილზე გადავიდოდით, რომელსაც აუცილებლად აუცილებლად შევეხებით და რომელიც ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო თემაა, მანამდე მე მაინც მინდა სამართლებრივ დეტალებზე კიდევ ერთხელ ამომწურავად რომ ვისაუბროთ, რადგანაც ფაქტი შემდგარია და დაყადაღებულია თქვენი ანგარიშები, კიდევ ერთხელ ჩაგეკითხებით, ბანოტო კახი, თქვენს ანგარიშზე საქართველოში, უცხო ანგარიშებიდან რაიმე თანხა ხომ არ გადმორიცხულა?”

თოქ-შოუს წამყვანი, ძირითადად, სტუმრებისგან განსხვავებულ პოზიციას ირჩევს და გარკვეულწილად, ცდილობს ოპონირება გაუწიოს მათ. 23 აგვისტოს გამოშვებაში კახა კუკავა (თავისუფალი საქართველო) ამბობს, რომ ”არცერთ სოფელში წყალი არ შეყვანილა, გაზი არ შეყვანილა”, რაზეც წამყვანი ხელისუფლების პოზიციით პასუხობს: ”ხელისუფლება ამბობს, რომ ამას გააკეთებს უახლოეს მომავალში.” ასევე, 12 ივლისის გადაცემაში, როდესაც მამუკა ღლონტი (”მაესტროს” თანადამფუძნებელი) ამტკიცებს ტელეკომპანია ”მაესტროს” ქმედებების კანონიერებას, წამყვანი მას პროკურატურის მიერ გაჟღერებულ ოფიციალურ ვერსიას უპირისპირებს: ”მაგრამ იყიდეთ იმ ფირმისგან თეფშები, რომლისგანაც იყიდა

გლობალმა.” ზოგჯერ წამყვანი ცდილობს ერთ საკითხზე წარმოაჩინოს ორი განსხვავებული პოზიცია და ამასთან დაკავშირებით სტუმრის შეფასებები მოისმინოს.

გადაცემის მსვლელობისას წამყვანი ხშირად ასახელებს ამა თუ იმ ინფორმაციის წყაროებს და იშველიებს ოფიციალურ დოკუმენტებს.

”ჩვენ”

„ჩვენ” ეთერში ყოველ შაბათს საღამოს 11 საათზე გადის და მისი წამყვანია თამარ ჩიქოვანი. ჩვეულებრივ, გადაცემას მხოლოდ ერთი სტუმარი ჰყავს და გადაცემა წამყვანსა და რესპოდენტს შორის დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს.

მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე თოქ-შოუს სულ 7 გადაცემა გავიდა. თითოეული გადაცემის საშუალო ხანგრძლივობა 45 წუთი იყო. ”ჩვენ” ეხებოდა შემდეგ თემებს:

- არჩევნები (საარჩევნო სიები და არჩევნების გაყალბება),
- საქარველოში არსებული სოციალური და პოლიტიკური პრობლემები,
- პოლიტიკური გარემო საქართველოში,
- რუსეთი და ტერიტორიული კონფლიქტები და სხვა.

მონიტორინგის პერიოდში გადაცემას, ძირითადად, ცალკეული ოპოზიციური პარტიის წევრები და ექსპერტები სტუმრობდნენ: გია ჟორჟოლიანი (სოციალ დემოკრატიული პარტიის ლიდერი), გოგი ხუციშვილი (კონფლიქტოლოგი), ვახტანგ ხმალაძე (კოალიცია ქართული ოცნება), სოსო ცისკარიშვილი (დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი), ვახტანგ ძაბირაძე (იურისტი), კოკა გუნცაძე (ამომრჩეველთა ლიგა) და რამაზ საყვარელიძე (ფსიქოლოგი).

გადაცემაში ჟურნალისტი და სტუმარი, მეტწილად, ერთსა და იმავე პოზიციას იზიარებენ, რაც უმეტესად ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევა. თუმცა, წამყვანი ან რესპოდენტები არასოდეს იყენებენ სიძულვილის ენას.

თოქ-შოუს სტუმრები, ძირითადად, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები არიან. წამყვანი ლმობიერია მათ მიმართ, არ აწყვეტინებს საუბარს, აცდის აზრის დასრულებას და იშვიათად ეძიება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტი ეთანხმება რესპოდენტის მოსაზრებებს და მის პოზიციას იზიარებს. თავად დასმული კითხვებიც არ გამოირჩევა სიმკაცრით. წამყვანი, პრაქტიკულად, არასოდეს უწევს სტუმარს ოპონირებას და არ იცავს მეორე მხარის ინტერესებს, პირიქით, ძირითადად, ეთანხმება მოწვეულ რესპოდენტს.

თამარ ჩიქოვანი არ არის აქტიურად ჩართული გადაცემაში და შესაბამისად, ჟურნალისტის საუბრის დრო მთლიან გადაცემაში, უმეტესწილად, რესპოდენტისთვის დათმობილი დროის მესამედზე ნაკლებია. თუმცა, გადაცემის განმავლობაში წამყვანი ღიად აფიქსირებს თავის აზრს და არ ერიდება პირადი მოსაზრებების გამოთქმას. მაგალითად, 21 ივლისის გამოშვებაში თამარ ჩიქოვანი საკუთარ აზრს გამოხატავს მაესტროს ანტენების დაყადაღების ფაქტზე: ”როდესაც მე ტელევიზიით პოლიტიკოსები მეუბნებიან, რომ მაესტროს ან თუნდაც გლობალ ტვ-ს ჩამოართვეს სატელიტური თეფშები იმიტომ, რომ ამ თეფშების დარიგებით და ამ კამპანიით თუნდაც უფასოდ, მაგრამ არ იყო ეს უფასოდ გათვალისწინებული, ამით მოხდებოდა ამომრჩევლის მოსყიდვა. ეს არის აბსოლუტური სიდებილე, მე რომ მკითხოთ, იმიტომ, რომ იმ თეფშით მე ყველა არხის ყურების საშუალება მექნება.”

თოქ-შოუს წამყვანი ღიად აფიქსირებს თავის პოლიტიკურ პოზიციებსაც, მეტწილად, აკრიტიკებს ხელისუფლებას და სიმპათიას ამჟღავნებს ოპოზიციისადმი.

„არჩევნების წინ ხელისუფლება ყოველთვის არაჩვეულებრივად, რაღაცა ისეთი, სოციალური ხდება ხოლმე და მაშინ ახსენდება, რომ, რაღაცა, არის პორბლემა თუ უმუშევრობა არის და ასე შემდეგ...“ 14 ივლისი

„ამ ბოლო რვა წლის განმავლობაში, პრინციპში, ხელისუფლებამ დაწერა ასეთი ლეგენდა, რომელიც ნუ მოქმედებდა ადამიანებზე. რომ გვყავს წარმატებული მთავრობა და არის წარუმატებელი, ‘ლუზერების’ საზოგადოება. იმიტომ, რომ ნუ ისინი უფრო წინ არიან, არიან

განათლებულები, რაღაცა წარმატებებს მიაღწიეს თავისი იმითი და შენ ვერ მიაღწიე, იმიტომ რომ უნიჭო ხარ და დებილი ხარ როგორც ჩანს.“ 14 ივლისი

„ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი ოთხპუნქტიანი დეკლარაცია შესთავაზა პოლიტიკურ პარტიებს, რომ უარი ვთქვათ ძალადობაზე. ცოტა უცნაურია იმიტომ, რომ ჯერჯერობით ოპოზიციური პარტიების ძალადობა არ გვინახავს.” 21 ივლისი

კავკასია

კავკასიაზე მონიტორინგი უკეთდება სამ თოქ-შოუს. ესენია: „სპექტრი“, წამყვანი დავით აქუბარდია, „ბარიერი“, რომლის წამყვანები არიან ალექსანდრე ელისაშვილი და ნინო ჯანგირაშვილი და „ცხელი ხაზი“, რომელსაც მონაცვლეობით ოთხი სხვადასხვა წამყვანი ჰყავს, ალექსანდრე ელისაშვილი, დაჩი გრძელიშვილი, ზვიად ქორიძე და ნათია ორველაშვილი;

გადაცემებში „ბარიერი“ და „ცხელი ხაზი“ მოწვეული სტუმრები ძირითადად მედიის წარმომადგენლები ან ექსპერტები არიან. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იშვიათად სტუმრობენ ამ გადაცემებს, და მაშინაც ოპოზიციური პარტიების წევრები ჭარბობენ. იგივე შეიძლება ითქვას გადაცემა „სპექტრზეც“, რომელშიც უმეტესად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანები ხშირად ამბობენ, რომ მმართველი გუნდის წევრები არ თანხმდებიან მათთან სტუმრობას. მონიტორინგის პერიოდში მხოლოდ რამდენიმეჯერ იყო შემთხვევა, როდესაც ამ არხზე გასულ თოქ-შოუებში მმართველი გუნდის წევრები იყვნენ რესპონდენტები.

დავით აქუბარდია რეგულარულად აფიქსირების თავის პოზიციას, მოსაზრებას და პოლიტიკურ სიმპათიებს. ძალიან აქტიურობს გადაცემის მსვლელობისას და ხშირად შედის პოლემიკაში სტუმართან თუ მას განსხვავებული აზრი აქვს. ასევე, ხშირია მისგან შეურაცხმყოფელი ფრაზები და სიძულვილის ენა ხელისუფლებისა და მთავრობის

წარმომადგენლების მიმართ. თუმცა, თუ სტუმარი იზიარებს იგივე მოსაზრებებს რასაც წამყვანი, აქუბარდია აძლევს მას საშუალებას თავისუფად ისაუბროს პირდაპირ ეთერში და ბოლომდე დააფიქსიროს თავისი აზრი.

მსგავსი რამ შეიძლება ითქვას ალექსანდრე ელისაშვილზეც. ორივე გადაცემაში, „ბარიერი“ და „ცხელი ხაზი“, იგი ხშირად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს, ხშირად ირონიულად და ცინიკურად. წამყვანი უფრო მეტად მომთხოვნია ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. იგი უფრო ხშირად უსვამს მათ ჩაძიებით და დამატებით კითხვებს.

„სტუდია სპექტრი“

„სტუდია სპექტრი” კავკასიის თოქშოუა, რომლის წამყვანია დავით აქუბარდია (გამონაკლისს წარმოადგენდა 24-28 აგვისტო, როდესაც გადაცემა ალექსანდრე ელისაშვილს მიჰყავდა). თოქშოუ 3-4 ნაწილისგან შედგება და თითოეულში სტუდიაში თითო სტუმარია მოწვეული. გადაცემის მსვლელობისას პირდაპირ ეთერში ხდება მაყურებლების სატელეფონი ჩართვებიც.

მონიტორინგის პერიოდში კავკასიაზე „სტუდია სპექტრის” 40 გადაცემა გავიდა. თითოეული გადაცემა საშუალოდ 2 საათს გრძელდება. თუმცა, თოქშოუ შეიძლება 2 საათზე მეტ ხანსაც კი გაგრძელდეს. მაგალითად, 16 აგვისტოს გადაცემა 3 საათსა და 5 წუთს გაგრძელდა.

ამ პერიოდში „სტუდია სპექტრი” შემდეგ თემებს შეეხო:

- არჩევნები,
- პოლიტიკური პარტიები,
- NDI-ს კვლევები,
- კოალიცია ქართული ოცნების აქტივობები,
- კარალეთის ინცინდენტი,
- მარლთმსაჯულება (ქსნის და გლდანის კოლონიაში მომხდარ მოვლენები),

- სოფლის მეურნეობა,
- ეკოლოგია და გარემოს დაცვა, სტიქია კახეთში,
- „აგვისტოს ომი“,
- ეუთოს დელეგაციის შეფასებები.

თემებიდან იშვიათად, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა უარყოფითი დამოკიდებულება მმართველი გუნდისა და ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, იყიდება თუ არა გაზსადენი - რა დამოკიდებულება აქვს რუსეთთან საქართველოს ხელისუფლებას რეალურად?; დიდგორობა - მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მიერ აღნიშნული დღესასწაული; ხელისუფლების ზეწოლა ქართველ სპორტსმენებზე და ქართულ სპორტზე.

სტუმრებს შორის იყვნენ ძირითადად ოპოზიციის წარმომადგენლები, ნაკლებად მმართველი გუნდის წევრები. ასევე ექსპერტები, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მართალია, სტუმრებს შორის სჭარბობდა კოალიცია ქართული ოცნება, მაგრამ ოპოზიცია მეტ-ნაკლებად მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი: ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ახალი მემარჯვენეები, კონსერვატიული პარტია, თავისუფალი საქართველო, ტრადიციონალისტები, მწვანეთა პარტია, ქართული დასი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე რესპოდენტი რამოდენიმე გადაცემას სტუმრობს.

კავკასიის თოქშოუ „სტუდია სპექტრი“ ეხმიანება მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. გადაცემაში წარმოდგენილი სტუმრები თითქმის ყოველთვის ოპოზიციურ პარტიას ან ხელისუფლებისადმი არალოიალურ მოსაზრებას წარმოადგენენ. თუმცა, გადაცემის წამყვანი აღნიშნავს ხოლმე, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მის გადაცემაში მონაწილეობას არ თანხმდებიან. მხოლოდ რამდენიმე გადაცემაში ჰყავდა აქუბარდიას სტუმრად ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი და ხელისუფლებისადმი არც თუ ისე კრიტიკულად განწყობილი ექსპერტი. გადაცემის წამყვანი რეგულარულად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს, მათ შორის, უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლებისა და მისი წარმომადგენლებისადმი. ამავდროულად, იგი კეთილგანწყობილია ოპოზიციის მიმართ.

გადაცემის ფორმატი უფრო თავისუფალია. დიალოგი მიმდინარეობს არა კითხვა-პასუხის რეჟიმში, არამედ ორივე მხარე (წამყვანი და სტუმარი) უბრალოდ ცვლიან აზრებს და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ შეხედულებებს. აქუბარდიას საუბრიდან ნათელია, რომ მას არ მოსწონს საქართველოს ხელისუფლება და ხშირად აკრიტიკებს მას. იყენებს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „ვანიჩკა“, „მიშისტები“ და ა.შ. სამთავრობო უწყებებსა და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციას „კანტორებს“, ხოლო ხელისუფლებას - „საბჭოთა ხელისუფლებას“ უწოდებს. იგი ასევე არ მალავს თავის სიმპათიებს სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერების თუ წევრების მიმართ.

უმეტესად აქუბარდიას გადაცემაში ისეთი ადამიანები ჰყავს სტუმრად, რომლებიც მისთვის მისაღებ მოსაზრებებს გამოთქვამენ, ამიტომაც წამყვანი მათ ძირითადად ეთანხმება, აცდის აზრის გამოთქმას ბოლომდე და მათდამი დამოკიდებულებაც დადებითია. თუმცა, თუ სტუმარი მის საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს, აქუბარდიას ქცევაც იცვლება.

მაგალითად, 29 აგვისტოს გადაცემაში აქუბარდიას სტუმრად ჰყავდა სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე, ლოპოტას სპეცოპერაციის თემაზე, რომელმაც რამდენჯერმე აღნიშნა, რომ სპეცოპერაცია სწორი და აუცილებელი იყო და ხელისუფლება სწორად მოიქცა. ამას გადაცემის წამყვანი არ დაეთანხმა და მთელი გადაცემის განმავლობაში აწყვეტინებდა საუბარს, გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებებსა და ვარაუდებს, რჩევა-დარიგებებსაც აძლევდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. საბოლოო ჯამში, მან სტუმარზე მეტი ისაუბრა.

„სტუდია სპექტრის“ გადაცემებში ზოგჯერ შეინიშნება განსხვავებული დამოკიდებულება სტუმრების მიმართ.

მაგალითად, 22 აგვისტოს გადაცემაში სტუმრად მოწვეული იყო პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღთურია პარტიაში ახალი წევრების მიღების თემაზე. ბაღათურიამ თემას გადაუხვია და პარტიის საარჩევნო პროგრამის წარდგენა დაიწყო, რაზეც აქუბარდიამ მოუწოდა თემაზე ესაუბრათ და დაჰპირდა, რომ საარჩევნო აგიტაციისთვის დროს სხვა გადაცემაში გამოუყოფდა: „ჯონდი, ეხლა შენ ბოროტად იყენებ ჩემ ეთერს...

საარჩევნო აგიტაციად გამოჩნდა ეს ამბავი, კიდევ ერთხელ გპირდები ჯონდი, რომ პრობლემა არა გვაქვს, ოფიციალურად ჩვენ თქვენ დაგითმობთ ეთერს.“

თუმცა, განსხვავებით ჯონდი ბაღათურიასგან, 29 აგვისტოს, როცა „სპექტრში“ ლოპოტას სპეცოპერაციის თემაზე სასაუბროდ აქუბარდიას სტუმრად წყალტუბოში ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატი პაატა ზაქარეიშვილი ჰყავდა, გადაცემის უმეტესი ნაწილი წყალტუბოზე საუბარს დაეთმო.

გადაცემის წამყვანი ძირითადად ძალიან აქტიურადაა ჩართული გადაცემაში და, მიუხედავად იმისა, რომ კითხვებს ნაკლებად სვამს, საკუთარ მოსაზრებებს ხშირად აფიქსირებს.

მაგალითები:

„საზიზღარი რაღაც გააკეთა, ჩემის აზრით, სააკაშვილმა, როცა სვანეთში მეგრელები დაახვედრა ბიძინა ივანიშვილს.“ 31 ივლისი

„რა გაუხდა ამ ტიპებს, რომ ვიღაცა გამგებელი, ვიღაცა ჩმორი და დეგენერატი იქნებოდა, დარწმუნებული ვარ, ვინც აიძულებდა, მოდით და იყიდეთ სიმინდიო. ვინ ჩემი ფეხებია, ბოდიში და, გამგებელი. იმისი ხათრით კრედიტი როგორ აიღეს.“ 2 აგვისტო

„დასავლეთს თავს ახვევს, რომ დემოკრატიის შუქურა ვარო. აქ აშკარად თურქმანბაშივით მოქმედებს, ორი შეუთავსებელი შეითავსა ამ ბიჭმა [საუბრობს სააკაშვილზე].“ 9 აგვისტო

„მე არ მეშინია, ამ სიტყვებს რომ ვამბობ: ფაქტიურად დღეს, ‘ქართული ოცნების’ გამარჯვებით, ქართული საზოგადოება მოიგებს და მე, რა თქმა უნდა, მინდა, რომ დღეს ქართული ნაცია მოგებული იყოს.” 26 ივლისი

გადაცემის წამყვანი ზოგჯერ არამხოლოდ საკუთარ პოზიციას ან პოლიტიკურ შეხედულებებს აფიქსირებს, არამედ სხვადასხვა, საკმაოდ მძიმე ხასიათის განცხადებებსა და დასკვნებს აკეთებს საკუთარ ლოგიკაზე დაყრდნობით. მაგალითად, 16 აგვისტოს გადაცემაში აქუბარდია ამბობს: „რაღაც ცუდ ფაზაში შევიდა პოლიტიკური ბრძოლა, პოლიტიკური

ცხოვრება და, აი, რო ვუკვირდები, ისეთი ისა მაქვს, შეიძლება ვაზვიადებ, მაგრამ, არ არის ეს გაზვიადებული, აი, გაშლილი ფრონტით მიდის 'ნაც. მოძრაობა' სამოქალაქო ომისკენ, მე ესეთი დასკვნა გამოვიტანე. ეხლა ძაან ბევრი ვნებათა ღელვების შესახებ წაკითხული მაქვს წიგნები, ძაან ბევრგან ვიცი, სად როგორ იწყებოდა, სხვათა შორის, იგივე ესპანეთში 36 წელს ესე დაიწყო." (1:08)

აქუბარდიას გადაცემაში გვხვდება შემთხვევები, როცა ის გადაცემაში ნაკლებად ერთვება და სტუმარს სრულ თავისუფლებასა და დროს აძლევს. მაგალითად, 16 აგვისტოს გადაცემაში სტუმარ ირაკლი მაჭავარიანს დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში წამყვანმა არ შეაწყვეტინა საუბარი და, დათანხმების გამომხატველი შორისდებულების გარდა, არაფერი უთქვამს.

აღსანიშნავია, რომ დავით აქუბარდიას 14 აგვისტოს გადაცემაში სტუმრად ჰყავდა ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატი, რასაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი: „მე გუშინ ოფიციალურად მივმართე დიად ნაციონალურ მოძრაობას და არც ერთი მაჟორიტარობის კანდიდატი არ გამოგვიგზავნეს. დღეს რაღაც ცის კიდობანი გაიხსნა ჩვენთვის და მეორე ბლოკში ბატონი გიორგი ვაშაძე, ბატონი ნუკრის კონკურენტი გვეყოლება და მახარებს, რომ რაღაცა დოზით კომუნიკაციის მსგავსი შედგა." წამყვანი ძალიან მობილიზებული იყო, ყურადღებით უსმენდა სტუმარს. შეკითხვები არც ზედმეტად მომთხოვნი და კრიტიკული იყო და არც ზედმეტად ლოიალური. რამდენიმეჯერ მწვავე დისკუსიაც გაიმართა მათ შორის და ორივე ერთად, სტუმარიც და ჟურნალისტიც ერთდროულად საუბრობდნენ ხმამაღლა და განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებდნენ. აქუბარდია ხშირად უკეთებდა კომენტარს გიორგი ვაშაძეს და ცდილობდა ოპონირება გაეწია მისთვის. თუმცა, ამავდროულად საშუალებას აძლევდა, ესაუბრა მის გეგმებზე.

თოქშოუ „სტუდია სპექტრის" წამყვანი დავით აქუბარდია ხშირად იყენებს სალანძღავ, შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ ფრაზებს ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. მისთვის ჩვეულია შემდეგი ფრაზები: „იდიოტობა", „ქაჯობა", „კრეტინობა". მაგალითები:

„ის როლანდ ახალაია როა, ვიღაც მონსტრი სამეგრელოში. მონსტრია ის, ხალხო, მონსტრი, დამიჯერეთ.“ (31 ივლისი, 3:57)

„ტახტის უკან რო მუთაქებს ამოიდებს კაცი, ისე ყავს ამოდებული მიშას ეს ხალხი და ბუებივით დგანან კაცო, არც ემოცია, ემოცია არა აქვთ. სირცხვილია კაცო, ფონად გიყენებთ კაცი და კაი რაა!“ 16 აგვისტო

სტუმრების მიერ მსგავსი ტიპის ფრაზების გამოყენებაზე წამყვანი ან იცინის, ან აგრძელებს მათ მიერ დაწყებულ ნათქვამს. მაგალითად, 13 აგვისტოს გადაცემაში ჩართულმა ტელემაყურებელმა, რომელიც ტელეფონით დაუკავშირდა სტუდიას, მკვეთრად უარყოფითად ისაუბრა ტელეკომპანია „რეალ-ტივის“ დამფუძნებელ გურამ დონაძეზე: „ეს არის ქალბატონი გურგენა დონაძის ტელევიზია, ეგ დონაძე უნდა ლპებოდეს ციხეში, ტელევიზია კიარ უნდა ჰქონდეს მაგას.“ ამაზე აქუბარდიამ ბევრი იცინა. 15 აგვისტოს გადაცემაში მაყურებელმა დარეკა სტუდიაში და სააკაშვილზე თქვა: „ეგ უნამუსო ბეგემოტი, ღორი ეგ.“ აქუბარდიამ ამაზეც გაიცინა. მხოლოდ ერთხელ 10 აგვისტოს გადაცემაში მაყურებელმა სტუდიაში დარეკა და ქრისტიან-დემოკრატების ლიდერ თარგამაძეს „ნაძირალა“ უწოდა. ზარი მაშინვე გათიშეს და აქუბარდიამ კორექტულობისკენ მოუწოდა მაყურებელს.

რაც შეეხება გადაცემის თემის გამოცხადებას და შემდეგ მის მიყოლას, აქუბარდიას იშვიათად აქვს თემა წინასწარ დაანონსებული და საუბრის მთავარი საგანი თავად გადაცემის მსვლელობის დროს იკვეთება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წამყვანი წინასწარ აცხადებს გადაცემის მთავარ თემას, საუბარი ხშირად ცდება მას და გადაცემა ხან ისტორიული ფაქტების სუბიექტურ განხილვას, ხან კი მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკაზე საუბარს ეთმობა.

სხვადასხვა თემაზე საუბრისას წამყვანი საკმაოდ იშვიათად ასახელებს ინფორმაციის წყაროს და ხშირად საუბრობს ისეთი ფაქტების შესახებ, რომელთა წარმომავლობასაც არ ასახელებს. მიუხედავად ამისა, იგი უმტკიცებს მაყურებელს, რომ მან ამ ფაქტების შესახებ დანამდვილებით იცის. მაგალითები:

„ერთი 40 მილიონი მაინც ხო დაჯდებოდა. 10 მილიონად მიყიდეს ვიღაცას ის უნივერმაღის შენობა თავისუფლების მოედანთან. 4 წლის წინ მიყიდეს.“ 16 ივლისი

„100-მდე კაცი გაუყრიათ თელასიდან, მიზეზი მოუგონიათ, რომ ოპოზიციის მიტინგზე გნახეთო. მათ ადგილზე ნაცების კოორდინატორები დანიშნესო.“ 3 აგვისტო

„სხვათა შორის, ერთი 10 ათასი სტუდენტი გარიცხეს სასწავლებლიდან თანხის გადაუხდელობის გამო.“ 15 აგვისტო

”ბარიერი”

„ბარიერი” კავკასიაზე ყოველ სამშაბათსა და პარასკევს საღამოს 11 საათსა და 30 წუთზე გადის. მისი წამყვანები მონაცვლეობით არიან ალექსანდრე ელისაშვილი და ნინო ჯანგირაშვილი. გადაცემას დებატების ფორმატი აქვს, სტუდიაში მოწვეულია ოთხი სტუმარი, რომლებიც ორ სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ.

მონიტორინგის პერიოდში კავკასიაზე „ბარიერის” 13 გადაცემა გავიდა, რომელთაგან ყველაზე ხანმოკლე 1 საათი და 13 წუთი გაგრძელდა, ხოლო ყველაზე ხანგრძლივი - 1 საათი და 43 წუთი.

”ბარიერში” შემდეგი თემები იყო განხილული:

- ბიძინა ივანიშვილის ქონების დაყადაღება,
- კარალეთის ინციდენტი,
- ივანიშვილის და ხელისუფლების ურთიერთობები,
- მაესტროს თეფშების დაყადაღება,
- NDI-ს კვლევები,
- მედია (ჟურნალისტების დევნა, წინასაარჩევნო მედია გარემო),
- არჩევნები (წინასაარჩევნო გარემო, ეუთოს და ევროსაბჭოს მოხსენებების შეფასება)
- ლაფანყურის ინციდენტი და სხვა.

მონიტორინგის პერიოდში "ბარიერში" მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, პოლიტიკური პარტიების წევრები. რესპოდენტებს შორის, ძირითადად, ჭარბობდნენ მედიის წარმომადგენლები (ჟურნალისტები და მედია ექსპერტები). ზოგიერთი მათგანი რამოდენიმე გადაცემაშიც კი იყო მიწვეული. მაგალითად, 14 და 28 აგვისტოს გადაცემებს სტუმრობდა ჟურნალისტი ია ანთაძე, 24 და 31 აგვისტოს - ლაშა ტუღუში (გაზეთ "რეზონანსის" მთავარი რედაქტორი), 10 ივლისს, 14 და 24 აგვისტოს კი - ნათია კობერიძე (ტელეკომპანია "პიკის" პროდიუსერი). მოწვეულ სტუმრებს შორის შეიმჩნეოდა პოლიტიკური პარტიების სიმწირე, თუმცა მათ შორისაც სჭარბობდნენ კოალიცია ქართული ოცნების წევრები. მხოლოდ ერთხელ 27 ივლისის გადაცემაში იყო მიწვეული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, დავით დარჩიაშვილი.

გადაცემაში, უმეტეს შემთხვევაში სტუმრების სახით ორივე მხარე არის წარმოდგენილი და მათ შორის იმართება დებატები და პოლემიკა კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც გადაცემის წამყვანის განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლები არ თანმხდებიან გადაცემაში მონაწილეობაზე, შესაბამისად მოწვეულ სტუმრებს შორის დებატებს ადგილი არ აქვს. ასევე, ზოგიერთ გადაცემაში სტუმრების ძირითად ნაწილს შეადგენენ ექსპერტები და ჟურნალისტები, რომლებიც აფიქსირებენ საკუთარ აზრს სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც გადაცემის მსვლელობისას ხდება თემის შეცვლა, განსაკუთრებით მაშინ, თუ პოზიციასა და ოპოზიციას შორის დებატი მწვავდება.

წამყვანი უმეტეს შემთხვევაში აქტიურად არის ჩართული გადაცემაში და ცდილობს ორივე მხარეს მისცეს საკუთარი აზრისა და პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. თუ რომელიმე მხარე მეტს საუბრობს და არ აძლევს ოპონენტს აზრის დაფიქსირების საშუალებას, წამყვანი ერევა და აძლევს მეორე მხარეს სიტყვის თქმის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ წამყვანი უფრო მეტად მომთხოვნია ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. იგი უფრო ხშირად უსვამს მათ ჩაძიებით და დამატებით კითხვებს, თუ მათგან დამაკმაყოფილებელ

პასუხს არ იღებს. არის შემთხვევები, როდესაც ის მათთან დებატებშიც შედის და საკუთარ პოზიციას აფიქსირებს.

გადაცემის წამყვანის მხრიდან საკმაოდ ხშირი არის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოხატვის შემთხვევები. ეს აზრი კი შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში არის უფრო ოპოზიციური და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამომხატველი.

მაგალითად, 20 ივლისის გადაცემაში, რომლის მთავარი თემა იყო ხელისუფლების წინასაარჩევნო პროგრამა, ალეკო ელისაშვილი ამბობს: „საქართველო არ გაბრწყინდა იმ პროგრამის მიხედვით, გამთლიანებაზე არაფერს ვამბობ. გამთლიანდა კი არა ძალიან არ გამთლიანდა. მე რომ მკითხო ხელისუფლების ბრალია.“

„მე შეიძლება ძალიან მიამიტი ვარ, დურაკობამდე, მაგრამ კარალეთში, მე მეგონა, ეს ამბავი არ ატყდებოდა. გაყოყოჩებულმა და გათამამებულმა ტიპებმა სცემეს ჟურნალისტები.“ 13 ივლისი

„ეგენი არიან ჯადოები, პრესა.ჯი და რეალ.ტვ არიან ყველაზე ჯადოები. მაგათზე ხსენებაც კი მეშინია“ 13 ივლისი

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წამყვანებიც ისევე აქტიურად ერთვებიან დისკუსიასა და დებატებში, როგორც სტუმრები. მათი პოზიცია ყოველთვის უფრო ოპოზიციური არის. მაგალითად, 28 აგვისტოს გადაცემაში ნინო ჯანგირაშვილი ოპონირებას უწევს მაია ორჯონიკიძესა და თეა თუთბერიძეს - „რა გამოდის იცით? მოდით ობიექტურად შევხედოთ ამ ყველაფერს, ვინც არის ხელისუფლების მხარდამჭერი სადაც არ უნდა ეკეთებინა ბიზნესი და სადაც არ უნდა ჰქონდეს ნაშოვნი ფული ის კარგია. და ვინც არის ოპოზიციაში და ცდილობს შეცვალოს ხელისუფლება ის ცუდია?“ თუ გადაცემაში წარმოდგენიილ არ არის ორივე მხარე, წამყვანი ცდილობს მეორე მხარის მოსაზრებები წარმოადგინოს, ხშირ შემთხვევაში ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს მეორე მხარე ოპოზიციაა და არა პოზიცია.

ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც დებატები საკმაოდ მწვავე გახდა და წამყვანმა ვერ მოახერხა სიტუაციის დარეგულირება. რამდენიმე წუთის განმავლობაში მხარეები ერთდროულად საუბრობდნენ, ხოლო წამყვანი არც ერეოდა პოლემიკაში. ასევე იყო შემთხვევა, როდესაც სტუმარი თავად ითხოვდა, რომ წამყვანს მოდერაცია გაეწია და სტუმრებს საუბრის საშუალება მისცემოდათ.

"ცხელი ხაზი"

„ცხელი ხაზი" კავკასიის ეთერში გადის ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს, საღამოს 11 საათსა და 30 წუთზე. მისი წამყვანები მონაცვლეობით არიან ალექსანდრე ელისაშვილი, ზვიად ქორიძე, დაჩი გრძელიშვილი და ნათია ორველაშვილი.

მონიტორინგის პერიოდში კავკასიაზე „ცხელი ხაზის" 15 გადაცემა გავიდა, რომელთა ხანგრძლივობა დაახლოებით მერყეობდა 1 საათსა და 25 წუთსა და 1 საათსა და 50 წუთს შორის.

გადაცემებში შემდეგი თემები და საკითხები განიხილეს:

- საქართველოს პენიტენციალურ სისტემა,
- მედია,
- სტიქია კახეთში,
- არჩევნები (წინასაარჩევნო გარემო, ადმინისტრაციული რესურსების ხარჯვა, პიარ-კამპანიები, გაყალბების ალბათობა, ამომრჩეველთა სიები, პოლიტიკური პარტიების ქცევის წესები),
- სადამკვირვებლო მისიები საქართველოში,
- სამოქალაქო ომის ალბათობა,
- ლაფანყურის ინციდენტი და სხვა.

სტუმრების მხრივ "ცხელ ხაზში" მოწვეულ რესპოდენტებს შორის ნაკლებად იყვნენ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. თითოეულ გადაცემაში, ჩვეულებრივ, გადაცემაში ერთი ან ორი სტუმარია. შოუში, ძირითადად, ექსპერტები, ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჭარბობდნენ. თუმცა, რამოდენიმეჯერ თოქ-შოუში მოწვეული იყვნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (23 ივლისს - გია როინიშვილი და 20 აგვისტოს - ჩიორა თაქთაქიშვილი) და კოალიცია ქართული ოცნების წევრები (26 ივლისს - ნოდარ ხადური და 20 აგვისტოს - თინა ხიდაშელი).

გადაცემის პირველ ბლოკში წამყვანები წარადგენენ დღის მთავარ მოვლენებს, აკეთებენ შეფასებებს და მაყურებელს აცნობენ გადაცემის თემისთვის საჭირო სხვადასხვა ინფორმაციას. ისინი გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და აფიქსირებენ საკუთარ პოზიციას. გადაცემის ამ ბლოკში რეკავენ მაყურებლები და აფიქსირებენ თავიანთ აზრს განხილულ საკითხთან დაკავშირებით. წამყვანები ასევე, კითხულობენ ფეისბუქზე დაპოსტილ კომენტარებს და უშვებენ სპეციალურად მომზადებულ სიუჟეტებს.

გადაცემის მეორე ნაწილში მოწვეული არიან სტუმრები. სტუმრების შემოსვლის შემდეგ წამყვანების აქტიურობა, ხშირ შემთხვევაში, მინიმუმამდე დადის და ისინი ხდებიან მხოლოდ მოდერატორები. სვამენ კითხვებს და საკუთარ მოსაზრებას ნაკლებად აფიქსირებენ. ჟურნალისტები სტუმრებს საუბარს არ აწყვეტინებენ, და ბოლომდე აცდიან საუბარს. ხშირ შემთხვევაში სტუმრებიბ თანაბარ მდგომარეობაში არიან თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმისდა მიხედვით თუ ვინ უძღვება გადაცემას და ვინ არიან სტუმრები, ამის მიხედვით თოქ-შოუს დინამიკა იცვლება.

ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი სტუმრების მიმართ ჟურნალისტები უფრო მეტ აქტიურობას იჩენენ და კითხვებიც უფრო მომთხოვნია. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები ყველა შემთხვევაში აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებას ბოლომდე, ასეთ გადაცემებში სტუმრები, შედარებით, არათანაბარ მდგომარეობაში არიან. წამყვანებს შორის ალეკო ელისაშვილი და დაჩი გრძელიშივილი უფრო მეტად გამოირჩევიან თავისი პოზიციის გაცხადების სითამამით და საკუთარი აზრის დაფიქისრებით ვიდრე ზვიად ქორიძე და ნათია ორველაშვილი.

ელისაშვილი და გრძელიშვილი უფრო აქტიურიები არიან. ისინი მწვავე კითხვებითა და პოლემიკითთ გამოირჩევიან ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი სტუმრების მიმართ. მათი მხრიდან ბერვია ირონია, ცინიზმი და სარკაზმი. ასევე არის სიძულვილი ენის გამოყენების შემთხვევებიც. 9 აგვისტოს გადაცემაში წამყვანები მსჯელობისას იყენებდნენ ისეთ სიტყვებს სასჯელაღსრულებისა და პენიტენციალურ სისტემაში მომუშავე ადამიანების მიმართ, როგორიცაა: ჯალათები, მხეცები, ე.წ. ტიპები.

მაგალითები:

დაჩი გრძელიშვილი: „სოფელში ბოდიალზე გამახსენდა, ეს ჩვენი პრეზიდენტის ნაქებარი მინისტრი, რომ ცოტა ზარმაცი რო აღმოჩნდა და ეს ერთი და იგივე გაზეპირებული ტექსტები რო უძახა იქ ცხრა სოფელში ცხრაჯერ.“ 18 ივლისი

ალეკო ელისაშვილი: „სამარცხვინოა, როდესაც ხელისუფლება თეფშებს იჭერს და თან ისეთი სასაცილო მოტივით.“ 25 ივლისი

ალეკო ელისაშვილი: „დღევანდელმა დღემ მის პირად ბიოგრაფიაში [ზურაბ ხარატიშვილის], გულზე დავიდოთ ხელი, და მის პირად ბიოგრაფიაში და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიოგრაფიაში აი, ასეთი სერიოზული ხარვეზი შეიტანა. ნუ, ეს ეხლა ხელის გულზეა და ამას ეხლა დიდი სჯა-ბაასი არ სჭირდება. ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რად უნდა ეხლა ამას ბევრი ფილოსოფია?! ძალიან გულწრფელად რომ ვილაპარაკოთ ასეა.“ 20 აგვისტო

ალეკო ელისაშვილი: „კაი არაფერი უთქვამს [პრეზიდენტს], ეხლავე გეტყვით, გიორგი ბარამიძის, მაჟორიტარის წარდგენისას თქვა, რომ „გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარება, ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ, მაგრამ ჩვეულებრივად კი არა, ძალიან მაგრად უნდა გავიმარჯვოთო“. მისი თქმით, ნაციონალურმა მოძრაობამ იმიტომ უნდა გაიმარჯვოს, რომ მის უწმინდურ მოწინააღმდეგეს ქვეყნის გარეთ, მის დამქაშებს ქვეყნის შიგნით, უწმინდური ხელის განძრევა არ მოუხდეთო. აი, ასეთი პოლიტკორექტული და ღირსებით სავსე გამოსვლა ჰქონდა.“ 20 აგვისტო

ალეკო ელისაშვილი: „ბახმაროში იყო, კაი ჩასუქებული თანამშრომელი იყო პატრულის და არიგებდა 5 ნომრის მაისურებს.“ 20 აგვისტო

დაჩი გრძელიშვილი: „ამერიკული პეპლების საწინააღმდეგო იმისი არ იყოს... გადავირიე, ამერიკული პეპლები მეგონაო, ეხლა იმას იტყვიან ?! რამე ლოგიკაში ჯდება? და ამ სიცილ-სიცილით და აი, ამ ირონიით ჩვენ იქამდე მივალთ, მემგონი, რო რაღაცა ისწავლა უკვე. ღიად ცემა-ტყეპა მართლა. იმიტო რო ეს უკვე აღარ არის ჩუმად ფეხის დადება... ჩაიარა და შეასხა რაღაცა. ეხლა ის უძახე შენ ადამიანისვის სასარგებლო არისო თუ როგორა თქვეს? (იცინის).... მალე ამას ბრონქებისთვის სასარგებლო, ასთმის წამლად გამოაცხადებენ რაც საწამლავია პეპლებისთვის და მასობრივად შეგვასხამენ პეპლების იმას.“ 22 აგვისტო

იყო შემთხვევები ასევე, როდესაც შეურაცხმყოფელი სიტყვების გარდა ჟურნალისტები გადაუმოწმებელ ინფორმაციას, როგორც ფაქტებს ისე აწვდიან მაყურებელს.

ალეკო ელისაშვილი: ,,ეს ტიპები... გიორგი არველაძე. ის არ ყოფნის ბორდელი რო აქვს გახსნილი რესპუბლიკის მოედანზე და სუტინიორობით როა ამხელა კაცი დაკავებული. დადასტურებული ამბავია ეს ამბავი და იმიტომ ვამბობ... 14 მილიონი დააგროვა და კაციშვილი პასუხს არ თხოვს.'' 18 ივლისი

თოქ-შოუში ჟურნალისტები, გადაცემის მსვლელობისას დამატებითი კითხვებით მიმართავენ სტუმრებს, რათა ამომწურავი პასუხი მიიღონ მათგან კონკრეტულ თემაზე.

ზვიად ქორიძე: „შედეგი თუ მოჰქონდა? ან რა უნდა გაეკეთებინა? რა იყო მთავარი ამოცანა მისი?“ 30 ივლისი

ზვიად ქორიძე: „და რას უნდა გაუწიოს ქართულმა ოცნებამ ლობირება?“ 30 ივლისი

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მწვავე ჩაძიება, ხშირად, მხოლოდ ხელისუფლებისადმი ლმობიერად განწყობილი სტუმრების მიმართ ხდება. მაგალითად 16 ივლისს გასულ გადაცემაში, როდესაც წამყვანები იყვნენ ნათია ორველაშვილი და ზვიად ქორიძე, სტუმრები კი ნინო ლაპიაშვილის (ორგანიზაცია „სუფთა პოლიტიკა“) და ჟურნალისტი ლუბა ელიაშვილი იყვნენ, სიღრმისეული ინფორმაციის მიღების მცდელობა შეინიშნება მხოლოდ

ნინო ლაპიაშვილის შემთხვევაში. სტუმარს განსხვავებული მოსაზრება აქვს და კითხვების უმრავლესობაც მის მიმართ ისმის. მაგალითად, ნათია ორველაშვილი მას ორჯერ ჩაეკითხა, რათა მიეღო მისგან პასუხი თუ რისი მაჩვენებელი იყო ჟურნალისტების ცემის ფაქტი.

აღსანიშნავია 20 აგვისტოს გასული გადაცემა სადაც მეორე ნაწილში კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენელი თინა ხიდაშელი და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი ჩიორა თაქთაქიშვილი იყვნენ მოწვეული სტუმრად. როგორც თავად წამყვანებმა აღნიშნეს, დებატები არ იყო დაგეგმილი და ეს მხოლოდ თინა ხიდაშელის გამოსვლის დასრულების შემდეგ ოპონენტების ერთობლივი სურვილის მიხედვით გადაწყდა. ამან გამოიწვია ის, რომ დროის თვალსაზრისით თინა ხიდაშელს უფრო მეტი დრო ჰქონდა სასაუბროდ, ვიდრე ჩიორა თაქთაქიშვილს. რადგან მან დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ისაუბრა ოპონენტის სტუდიაში შემოერთებამდე. დებატები საკმაოდ მწვავე გამოდგა. დიდწილად მხოლოდ გადაცემის სტუმრები საუბრობდნენ და გადაცემის წამყვანებს მათთვის კითხვები არ დაუსვამთ, ოპონენტები ერთმანეთის კითხვებსა და ბრალდებებს თავად პასუხობდნენ. ამასთან, წამყვანების დამოკიდებულება ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ აშკარად უფრო კრიტიკული იყო. სტუმრისგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღების ნაცვლად, გადაცემის წამყვანები ცინიკურად ერთვებიან სტუმარს საუბარში.

ალეკო ელისაშვილი: „როდის, ქალბატონო ჩიორა? აი, ზუსტად მითხარით როდის განახევრდება უმუშევრობა?“

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე მონიტორინგის ქვეშ მოხვდა სამი გადაცემა. ესენია: „ახალკაცის მატრიცა“, „კონსილიუმი ვასილ მაღლაფერიძესთან“ და „ეკა ბერიძის მთავარი კითხვა“. სამივე თოქ-შოუ ყოველ სამუშაო დღეს გადის ეთერში. აღსანიშნავია, რომ მეცხრე არხზე მონიტორინგის ქვეშ მყოფ არც ერთ თოქ-შოუში არც ერთი სტუმარი ყოფილა მთავრობის, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა ან მმართველი გუნდის წარმომადგენელი. სამივე შემთხვევაში სტუმრები

ძირითადად ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი ადამიანები არიან. შესაბამისად, თემების უმეტესობა ტენდენციურად არის შერჩეული და ძირითადად პრეზიდენტის, მმართველი გუნდისა და მთავრობის უარყოფით კონტექსტში განხილვას ეთმობა.

გოგი ახალკახისა და ვასილ მაღლაფერიძისგან განსხვავებით, ეკა ბერიძე ძალიან იშვიათად აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას და პოზიციას გადაცემაში. მისი კითხვები საკმაოდ მომთხოვნია. ყველაზე ხშირად თავის აზრს გადაცემაში ვასილ მაღლაფერიძე აფიქსირებს, რომელსაც ხშირად ირონია და ცინიზმი გასდევს ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მიმართ. მოწვეულ სტუმრებთან საუბრისას ახალკაცი აშკარად არ აფიქსირებს თავის პოზიციას. თუმცა, მის რიტორიკულ კითხვებსა და სტუმრის ნათქვამზე რეაგირებაში მისი დამოკიდებულება ჩანს. ზოგჯერ გადაცემის მიმდინარეობისასაც ვლინდება მისი პოზიცია. გადაცემის დასაწყისსა და ბოლოში გოგი ახალკაცს აქვს რამდენიმე წუთიანი მონოლოგი (რემარკა და დღის სიტყვა), რომლის დროსაც უფრო მეტად იკვეთება წამყვანის პოზიცია და ხშირად იგრძნობა ირონია.

„ახალკაცის მატრიცა“

„მატრიცა” მეცხრე არხის თოქშოუა, რომელიც ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 7 საათზე და მისი წამყვანია გოგი ახალკაცი. მონიტორინგის პერიოდში მეცხრე არხზე „მატრიცას” სულ 36 გადაცემა გავიდა. თითოეული გადაცემა, საშუალოდ 50 წუთს გაგრძელდა.

მონიტორინგის პერიოდში გასული გადაცემები შემდეგ თემებს ეხებოდა:

- არჩევნები,
- კოალიცია ქართული ოცნება და ივანიშვილის განცხადებები,
- „მაესტროს“ ანტენების დაყადაღება,
- ლაფანყურის ინციდენტი,

- ჟურნალისტების დევნა,
- საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები წინასაარჩევნოდ,
- სოციოლოგიური კვლევები და სხვა.

აქედან, გადაცემების უმეტესობა კოალიცია ქართულ ოცნებას, ბიძინა ივანიშვილსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. საგულისხმოა, რომ თემების უმეტესობა ძირითადად უარყოფით კონტექსტში განიხილავდა მთავრობასა და მმართველ გუნდს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თოქ-შოუების შემდეგი თემები: თავდაცვის სამინისტროს „3ტ“-ს კონცეფცია - ჯარში არსებული პრობლემები; მაღალმთიანი რეგიონების პრობლემები; კანონიერების ქართული თავისებურება; მასობრივი დაყადაღებები - ლიბერტარიანიზმი დღევანდელ საქართველოში; უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა - „Summer Job”-ის რეალური მიზანი; პატიმრების პრობლემა - სასჯელის არაადეკვატურობა; სახელმწიფოს დაზღვევის პროგრამაში არსებული კითხვები და სხვა.

ჩვეულებრივ, „მატრიცა” ორ-სამ ნაწილადაა დაყოფილი, რომელიც ერთ კონკრეტულ თემას ეძღვნება. თითოეულ ნაწილში ერთი სტუმარია წარმოდგენილი. მოწვეული სტუმრები ძირითადად ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი ადამიანები არიან - ოპოზიციის წარმომადგენლები, ექსპერტები, რომლებიც ოპოზიციის მიმართ სიმპათიას ამჟღავნებენ, ან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ხელისუფლებას აკრიტიკებენ. ამის შედეგად გადაცემაში უმეტესად მსგავსი აზრებია წარმოდგენილი და ცხარე დებატები არ იმართება.

მოწვეულ სტუმრებთან საუბრისას ახალკაცი აშკარად არ აფიქსირებს თავის პოზიციას. თუმცა, მის რიტორიკულ კითხვებსა და სტუმრის ნათქვამზე რეაგირებაში მისი დამოკიდებულება ჩანს. ზოგჯერ გადაცემის მიმდინარეობისასაც ვლინდება მისი პოზიცია.

მაგალითად:

20 ივლისის გადაცემაში ახალკაცი ამბობს: „მე ეჭვს არ შევიტან ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებაში. ნიკა რურუას არ დავემსგავსები ამ შემთხვევაში და არ ვიტყვი, რომ მისი

გაკეთებული საქმეები თავიდან გასაკეთებელია. მაგრამ არის ამაში რაღაც, ჩემი აზრით, და არამარტო ჩემი აზრით, ამაში არის გარკვეული თამაშის მომენტი.“

„ადვილი დასანახია, რომ საქართველოში პოლიცია და ნაციონალური მოძრაობა თანდათან ერთმანეთს ერწყმის. შემდეგ სერიაში ნაციონალური მოძრაობის მაისურებში გამოწყობილი ადამიანები ხელკეტებით უკვე მოსახლეობას დაერევიან. არ გამოტოვოთ!“ 13 აგვისტო

21 აგვისტოს გადაცემაში ახალკაცი რიტორიკულ კითხვას სვამს ღიმილით პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძის მისამართით, რომელიც წინასაარჩევნოდ დასავლური სამყაროსა და, კერძოდ, ამერიკის როლზე და უმოქმედობაზე საუბრობდა: „თუ ეს ასეა, ეს ნიშნავს, რომ ესე ჩავვარდით ხახაში? ჩავუვარდით ხახაში ნაციონალურ მოძრაობას და არაფერი საშველი არ არის? თუ არის რაღაც გამოსავალი. აუცილებელია, რომ ამერიკამ გადაგვიწყვიტოს, აქ როგორ უნდა იყოს საქმე? ესეთ დღეში ვართ?“

30 აგვისტოს გადაცემაში კი აუდიტის სამსახურზე საუბრობს: „ყველამ ვიცით, რომ აუდიტის სამსახური უშუალოდ ხელისუფლების ნების შემსრულებელია, ეს არ არის აუდიტის სამსახური როგორც აუდიტის სამსახური.“

ახალკაცი თოქშოუს სტუმრებს სიტყვას არ აწყვეტინებს და აზრის დასრულებას აცდის. სტუმრები მის გადაცემაში თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან და წამყვანი სტუმრების მიმართ უმეტესად კეთილგანყობილია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციურად განწყობილი სტუმრების მიმართ წამყვანი ნაკლებად კრიტიკულია, მისი კითხვებიც, შესაბამისად, უფრო ლმობიერია, ვიდრე მომთხოვნი. თუმცა, ზოგჯერ წამყვანის კითხვები შეიცავს გარკვეულ სიმწვავეს და საზოგადოებას ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

ზოგჯერ ახალკაცი არ ეძიება სტუმრებს და არც მათგან განსხვავებულ მოსაზრებას აჟღერებს. თუმცა, რიგ შემთხვევებში იგი სტუმრის ნათქვამს უპირისპირებს მეორე მხარის არგუმენტებს და ცდილობს დისკუსია უფრო საინტერესო გახადოს. გადაცემის ბლოკის თემიდან გამომდინარე წამყვანი ზოგჯერ სრულიად ნეიტრალურია. თუმცა, ზოგიერთი სტუმრის მიმართ მხარდაჭერის ტონსაც ავლენს. მაგალითად, ქართუ ბანკის პრეზიდენტ ნოდარ

ჯავახიშვილის მიმართ, რომელიც რამდენჯერმე ჰყავდა სტუმრად. ასევე სოსო ჯაჭვლიანის მიმართ, რომელსაც წარმატებებსაც უსურვებს 19 ივლისის გადაცემაში: „წარმატებებს გისურვებთ, ბატონო სოსო. იცით, რომ მე თქვენი გულშემატკივარი ვარ თქვენს საქმიანობაში და ამაშიც მხარს დაგიჭერთ. გლდანის ამომრჩეველი არ ვარ, სამწუხაროდ, ამიტომ ხმას ვერ მოგცემთ.“

გადაცემის დასაწყისსა და ბოლოში გოგი ახალკაცს აქვს რამდენიმე წუთიანი მონოლოგი (რემარკა და დღის სიტყვა), რომლის დროსაც უფრო მეტად იკვეთება წამყვანის პოზიცია და ხშირად იგრძნობა ირონია. მაგალითად, 16 ივლისის გადაცემის რემარკაში ახალკაცმა ირონიული ტონით ისაუბრა მდინარე თერგზე ჰესის მშენებლობის დადებით მხარეებსა და იმ უარყოფით შედეგებზე, რაც შეიძლება, აღნიშნული ჰესის მშენებლობას მოჰყვეს. მისი საუბრიდან აშკარაა ჟურნალისტის ნეგატიური დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ. მოჰყავს ციტატები ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან”: „რიყეზე დალაგებული მილების შემხედვარეს აღარავის მოუვა თავში, რომ ‘მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი’. ტურისტებსაც მოვიზიდავთ. სად ერთი ჩვეულებრივი მთის მდინარე და სად ადამიანის სიბრიყვის ძეგლად გადებული 8-კილომეტრიანი მილი.“

რაც შეეხება სიძულვილის ენას, შეურაცხმყოფელ ან დამამცირებელ გამოთქმებს, წამყვანი მათ არ იყენებს და ხშირად არც რეაგირებს სტუმრების მიერ ასეთი გამოთქმების გამოყენებაზე. თუმცა, 3 აგვისტოს გადაცემაში მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე საუბრობდა იმის შესახებ, რომ საქართველოში 49 წლიანი იჯარით არის გადაცემული ტყეები, 200 ათასი ჰექტარი, „ჩინელებზე, ვიღაც ინდოელებზე, ვიღაცეებზე, კაცმა არ იცის.” ამას ახალკაცი გამოეხმაურა შემდეგი რეპლიკით: „ის მესაკუთრეა და ჩინელია თუ ესპანელი, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს.”

”კონსილიუმი ვასილ მაღლაფერიძეთან“

„კონსილიუმი” ეთერში 26 ივლისის შემდეგ გადის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ყოველდღე, საღამოს 8 საათზე და მისი წამყვანია ვასილ მაღლაფერიძე. ჩვეულებრივ, „კონსილიუმის” სტუდიაში ორი სტუმარია ერთად წარმოდგენილი. მხოლოდ ერთხელ, 15 აგვისტოს გადაცემაში იყო მიწვეული მარტო ერთი სტუმარი, გია მაისაშვილი, ლიდერთა სკოლის დამფუძნებელი.

მონიტორინგის პერიოდში მეცხრე არხზე „მთავარი კითხვის” სულ 26 გადაცემა გავიდა. ჩვეულებისამებრ თითოეული გადაცემა, საშუალოდ 45 წუთი გრძელდება. მონიტორინგის პერიოდში გასული გადაცემები ეხებოდა ისეთ საკითხებს როგორიცაა:

- არჩევნები (წინასაარჩევნო გარემო და კამპანია)
- კოალიცია ქართული ოცნება და ბიძინა ივანიშვილი,
- პრეზიდენტი და საქართველოს ხელისუფლება,
- მაესტროს ანტენების დაყადაღება,
- ლაფანყურის ინციდენტი,
- ”აგვისტოს ომი” და სხვა.

ამასთან, იყო რიგი გადაცემებისა, სადაც თემების უმეტესობა ტენდენციურად იყო შერჩეული და ძირითადად პრეზიდენტს, მმართველი გუნდსა და მთავრობას უარყოფით კონტექსტში განიხილავდა. მაგალითად, თოქ-შოუში წარმოდგენილი იყო ისეთი თემები, როგორებიცაა მინისტრების ფარშევანგიზაცია - სააკაშვილის დამოკიდებულება მინისტრების და ადამიანების მიმართ; „პრეზიდენტი მოთამაშე მსაჯის ამპლუაში”, ვის და რატომ ემუქრება მიხეილ სააკაშვილი წინასაარჩევნო პერიოდში; ნაციონალური ქვათაცვენის თავისებურებანი; მიხეილ სააკაშვილის მიერ ვეფხისტყაოსნის ციტირების შეფასება, საზოგადოების გახლეჩა - ხელისუფლების მიერ ადამიანების მოღალატეებად და კარგ მოქალაქეებად გამოცხადება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად სტუდიაში განხილული თემებისა, რომელთა დიდი ნაწილი ხელისუფლებასა და პრეზიდენტს ეხებოდა, მოწვეულ სტუმრებს შორის, მონიტორინგის პერიოდში, არც ერთი სტუმარი ყოფილა მთავრობის, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა ან მმართველი გუნდის წარმომადგენელი. სტუდიის სტუმრები უმრავლეს

შემთხვევაში იყვნენ ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები. ზოგიერთი მათგანი რამდენჯერმე იყო გადაცემის სტუმარი. მაგალითად, ჟურნალისტი ია ანთაძე (26 ივლისი, 13 და 30 აგვისტოს), ასევე საზოგადოების კვლევის ცენტრის დირექტორი, მარინა მუსხელიშვილი (27 ივლისი, 9 და 29 აგვისტო). უნდა აღინიშნოს, რომ მეცხრე არხის სხვა თოქ-შოუებისგან განსხვავებით, „კონსილიუმში" შედარებით მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი ოპოზიციის წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა რომ გადაცემაში, ჩვეულებრივ, ორი სტუმარი ერთდროულად არის მიწვეული გადაცემის ფორმატი არ არის დებატები, რადგან სტუმრებს, ისევე როგორც, წამყვანს, საერთო მოსაზრებები და პოზიციები აქვთ. ყველა გადაცემაში სტუმრები გამოხატავენ წამყვანის მსგავს პოზიციას. გადაცემა მშვიდად და მწვავე დისკუსიების გარეშე მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მაღლაფერიძის გადაცემები, თითქმის ყოველთვის, ეძღვნება ხელისუფლებისა და პრეზიდენტის კრიტიკას, სტუდიაში არასოდეს არიან წარმოდგენილი მთავრობის ან მმართველი გუნდის წევრები ან მათი მხარდამჭერები. ამასთან, წამყვანი თითქმის არასდროს ცდილობს მოწვეულ სტუმრებთან მეორე მხარის ინტერესების დაცვას ან მათი აზრის წარმოჩენას, პირიქით, უმეტეს შემთხვევაში ეთანხმება სტუდიაში მყოფ სტუმრებს.

აქედან გამომდინარე, ის საკმაოდ ლმობიერია თავისი სტუმრების მიმართ და კითხვებიც საკმაოდ არამწვავეა. წამყვანი ყოველთვის აცდის სტუმრებს აზრის დაფიქსირებას და დასრულებას. თუ სტუმარი რაიმე საინტერესო საკითხს შეეხო დამატებით კითხვებს უსვამს, ეძიება, ავრცობინებს თემას და ცდილობს სიღრმისეული ინფორმაცია მიიღოს.

თუმცა, როდესაც 7 აგვისტოს გადაცემაში სტუმრად იყო პაატა ვეშაპიძე, გაზეთ „24 საათი"-ს რედაქტორი, და პოეტი რატი ამაღლობელი, აშკარა იყო ვასილ მაღლაფერიძის მეტად ლმობიერი დამოკიდებულება რატი ამაღლობელის მიმართ. იგი ხშირად შედიოდა პაატა ვეშაპიძესთან პოლემიკაში და ხშირად აწყვეტინებდა საუბარს, მაშინ, როდესაც სტუმარს აზრი ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული. მეტიც, როდესაც სტუმარი თავის აზრს აფიქსირებდა, წამყვანი აწყვეტინებდა მას და ეუბნებოდა, რომ ეს ასე არ არის და თავის აზრს გამოთქვამდა.

ასევე, 15 აგვისტოს გადაცემაში, სადაც სტუმარი იყო გია მაისაშვილი, ჟურნალისტი მას ხშირად აწყვეტინებს საუბარს. როდესაც მაისაშვილი აპირებდა საუბრის დაწყებას მსოფლიოში არსებულ სამ მთავარ ეკონომიკური მოწყობის ტიპზე, ორჯერვე შეაწყვეტინა საუბარი ჟუნრალისტმა. შემდეგ, მაღლაფერიძემ თავად დაუსვა მას კითხვა ამ მოდელებთან დაკავშირებით, თუმცა საუბარი დაიწყო თუ არა მაისაშვილმა წამყვანმა შეაწყვეტინა და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

წამყვანი ძალიან აქტიურად არის ჩართული გადაცემაში. ზოგჯერ იმდენადაც კი, რომ რომ მისი საუბრის საერთო დრო აღემატება სტუმრებისას. მაღლაფერიძე ხშირად აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს. მის საუბარს და მოსაზრებებს უმეტეს შემთხვევებში გასდევს ირონია და ცინიზმი ხელისუფლების, მისი წარმომადგენლებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ. კითხვებიც ხშირად რიტორიკულია.

მაგალითად 1 აგვისტოს გასულ გადაცემაში წამყვანი ეკითხება გია გორგოძეს, „გია, როგორც ხედავთ, განახლდა მიხეილ სააკაშვილის სარესტორნო დევნა და სუში ბარიდან მივედით ბუდა ბარამდე. რას ნიშნავს ეს? ზედმეტი ხომ არ მოსდით ახალგაზრდებს? კაცმა რომ თქვას, რატომ არა აქვს პრეზიდენტს სამუშაო საათებში კულტურულად დასვენების და გართობის და გნებავთ დროს ტარების უფლება?“

21 აგვისტოს გასულ გადაცემაში წამყვანი ეკითხება სტუმარს: „მე მინდა დაგისვათ ერთი კითხვა, რომელზეც რეკლამის მერე მინდა მიპასუხოთ და თუ რამე იცით მე მითხარით პაუზის დროს, რომ მე შეუგნებელი არ გამოვჩნდე. ბუდა ბარში თუ ხართ ნამყოფი და რამდენად მნიშვნელოვანია ბუდა ბარის არსებობა სოფლის მეურნეობისათვის?“

აღსანიშნავია სულ პირველი, 26 ივლისის გადაცემა, რომელიც ეხებოდა მიხეილ სააკაშვილის დამოკიდებულებას მინისტრების მიმართ. აჩვენეს ვიდეო, სადაც პრეზიდენტი მინისტრებს ეუბნება, ,,რა ფარშევანგებივით მოდიხართ''. გადაცემას წამყვანმა დაარქვა „მინისტრების ფარშევანგიზაცია“.

ავტორმა თემა ასე წარადგინა: ,,მიუხედავად იმისა, რომ არის დიდი ყადაღიანობა საქართველოში და ხელისუფლებას უნდა, ჩვენ განუწყვეტლივ ვსაუბრობდეთ ყადაღაზე...

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი უყადაღებულესობა ხელისუფლებას უნდა რომ ყადაღობაზე ვისაუბროთ და ყადაღაზე, მოდით ვისაუბროთ ფარშევანგზე.''

14 აგვისტოს გადაცემა ეხებოდა პოლიტიკური პარტიების სტრატეგიებს. განხილური იყო, უფრო მეტად, ნაციონალური მოძრაობის სტრატეგია. ვასილმა არაერთხელ აღნიშნა რომ მმართველი გუნდის სტრატეგია გამოკვეთილად ომის სტრატეგიაა, მაშინ, როცა „ქართული ოცნების" სტრატეგია მშვიდობის სტრატეგიაა. არაერთი ვიდეო აჩვენეს მიხეილ სააკაშვილის გამოსვლების, თუმცა, არ უჩვენებიათ არც ერთი ვიდეო ბიძინა ივანიშვილის ან რომელიმე სხვა პარტიის გამოსვლებიდან. გადაცემაში მხოლოდ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა განიხილებოდა.

„ანუ ეს არის ამათი პიარ ნაწილია?... მეორე პარტია თითქოს დემონსტრატიულად აბსოლიტურად სხვა სტრატეგიით მიდის.... ორ სხვადასხვა სტრატეგიას ვუყურებთ, ორივე ძალიან ჯიუტი სტრატეგიაა...მეორე როგორი სტრატეგიაა ამის პარალელურად, უყურეთ... გამოკვეთილად პაცეფისტური არის ... შეიძლება ითქვას ორ სტრატეგიას ვუყურებთ, ერთი არის პირობითად აგრესიული, პირობითად ომის პარტია, მეორე არის მშვიდობის გამოკვეთილად, არანაკლებ მტკიცე..."

,,როგორც ჩანს ორი მოდელი გვაქვს ჩვენ არჩევნების, ერთი არი აგრესია, მეორე - სიმშვიდე, პირობითად ვთქვათ, ეს არის ერთი ომის გზა , რომელსაც ხელისუფლებამ დაარქვა ფრონტის ხაზი არჩევნებს, მეორე არი გამოკვეთილად მშვიდობის გზა და აი, ამ ორ არჩევანს შორის ჩვენ დავინახავთ რომელი ეთანადება ქართველი ამომრჩევლის გემოვნებას.''

ასევე გამორჩეულად ირონიული და ციკინური იყო 10 აგვისტოს გადაცემა, რომელიც მიეძღვნა ერთ-ერთი გამოსვლის დროს, მიხეილ სააკაშვილის მიერ მოყოლილ ამბავს, 2008 წლის აგვისტოში როგორ ჩავიდა ფოთში. საუბრის ტონი საკმაოდ ცინიკური და ირონიული იყო, როგორც წამყვანის ისევე სტუმრების მხრიდან.

"დღეს გვაქვს საგანგებო კონსილიუმი, რომლის მოწვევაც მოულოდნელად გადაწყდა პრეზიდენტის მიერ გუშინ მოთხრობილი საჰაერო იგავ-არაკის გამო, რამაც საზოგადოების დიდი ნაწილის აღელვება გამოიწვია" - ამ სიტყვებით დაიწყო მაღლაფერიძემ თავისი

გადაცემა. ჟურნალისტი მთელი გადაცემის განმავლობაში ხშირად იყენებდა ისეთ გამონათქვამებს, როგორიცაა: ”პრეზიდენტი არ დადის, პრეზიდენტი დაფრინავს ფაქტიურად“, ან „მე მაინტერესებს, თქვენ [მიმართავს სტუმარს] ესე კარგად ახსენით იგავურად, ყველა დეტალს აქვს მნიშვნელობა იგავში. აი, თვითმფრინავი იქ ღრუბელში რომ იმალება და ღრუბლიდან ღრუბელში რომ გადადის ჩვენების, კეთილების თვითმფრინავი, ვისი სიმბოლოებია ეს თვითმფრინავები, რომლებიც იქ დაშხუილობენ?”

მთელი გადაცემის მანძილზე ეკრანზე გამოდიოდა წარწერები იმის მიხედვით, თუ რას იხილავდნენ: ”პრეზიდენტის იგავ-არაკები”, ”პრეზიდენტი არ დადის, პრეზიდენტი დაფრინავს”, ”იგავი ჰაერში გაზრდილ პომიდორზე,” ”იგავი გაქსუებული ჩინოვნიკის შვილზე და გლახაკ მინისტრზე,” ”იგავი ეშმაკის ბორბალზე და სწავლის მძებნელზე,” ”მაღალი, უხვი, მდაბალი.”

”ეკა ბერიძის მთავარი კითხვა”

„ეკა ბერიძის მთავარი კითხვა” ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 10 საათზე და მისი წამყვანია ეკა ბერიძე. ჩვეულებრივ, „მთავარი კითხვა” ორ-სამ ნაწილადაა გაყოფილი, რომელიც ერთ კონკრეტულ თემას ეძღვნება და თითოეულში მხოლოდ ერთი სტუმარია წარმოდგენილი.

მონიტორინგის პერიოდში მეცხრე არხზე „მთავარი კითხვის” სულ 28 გადაცემა გავიდა. თითოეული გადაცემა, საშუალოდ 45 წუთი გრძელდება. მონიტორინგის პერიოდში გასული გადაცემები, ძირითადად, შემდეგ თემებს ეხებოდა:

- არჩევნები (საარჩევნო სიები, არჩევნების თარიღი, წინასაარჩევნო გარემო, წინასაარჩევნო კამპანია, ადამიანის უფლებების დარღვევა),
- კოალიცია ქართული ოცნება და ბიძინა ივანიშვილი,
- პრეზიდენტი,
- ლაფანყურის ინციდენტი,

- საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები,
- „აგვისტოს ომი",
- სოციოლოგიური კვლევები, და სხვა.

აქედან, გადაცემების უმეტესობა კოალიცია ქართულ ოცნებას, ბიძინა ივანიშვილსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. ასევე ხშირი იყო მმართველი გუნდის, მთავრობისა და პრეზიდენტის უარყოფით კონტექსტში განხილვა.

„მატრიცის" მსგავსად „მთავარი კითხვაც" არ გამოირჩევა სტუმრების მრავალფეროვნებით. 28 გადაცემიდან, არცერთში არაა წარმოდგენილი მმართველი გუნდის, მთავრობის თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, ამისი მიზეზი წამყვანს არასოდეს განუმარტავს. ასევე, არ არის სრულად წარმოდგენილი ოპოზიციაც, რადგან მოწვეული სტუმრების დიდი უმეტესობა კოალიცია ქართულ ოცნებას მიეკუთვნებოდა და მხოლოდ ერთხელ იყო ამომრჩეველთა ლიგის წარმომადგენელი. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში თითქმის სრულად იყვნენ წარმოდგენილნი კოალიციაში შემავალი პარტიები, გასულ 28 გადაცემაში 30-მდე სტუმარი იყო ქართული ოცნების წევრი, ხოლო დანარჩენებიდან თითქმის ყველა რესპონდენტი კოალიციის მხარდამჭერი ან ოპოზიციურად განწყობილი იყო. ასევე, რიგ შემთხვევებში კოალიციიდან ერთი და იგივე ადამიანი რამდენჯერმე იყო მოწვეული.

გადაცემის დანარჩენი სტუმრები, ძირითადად, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ჟურნალისტები ან მედია ექსპერტები, პოლიტოლოგები, ეკონომისტები, დამოუკიდებელი ექსპერტები და ქართუ ბანკის წარმომადგენლები იყვნენ. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ შორისაც ოპოზიციურად განწყობილი რესპოდენტები ჭარბობდნენ.

მიუხედავად ამისა, წამყვანი თითქმის არასოდეს აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას და არ იჭერს რომელიმე მხარეს. კითხვებში, უმეტესად, არ იკვეთება მისი პირადი მოსაზრებები და იგი აშკარად არ აფიქსირებს თავის პოზიციას. გადაცემაში ეკა ბერიძე ცდილობს იყოს ნეიტრალური. ჟურნალისტი მოწვეულ სტუმრებს, ძირითადად, კრიტიკულ და მწვავე

შეკითხვებს უსვამს, მოჰყავს სტუმრების პოზიციის საწინააღმდეგო არგუმენტები და ცდილობს საკითხი განსხვავებული კუთხით წარმოაჩინოს. ყურადღებით უსმენს სტუმრებს და საშუალებას აძლევს ამომწურავი პასუხი გასცენ მის შეკითხვას.

იგი ასევე ცდილობს სტუმრების მიერ გაცემული პასუხები არ იყოს ორაზროვანი და დამატებითი კითხვების მეშვეობით რესპონდენტები ცალსახა და გასაგებ პასუხებამდე მიჰყავს. სტუმარს საუბარში მხოლოდ იმ შემთხვევაში ერთვება, როდესაც მისი პასუხი ნაკლებად გასაგები და ორაზროვანია, და სვამს დამატებით შეკითხვებს.

მაგალითად:

„თქვენ ფიქრობთ, ბატონო ზაზა, [ზაზა პაპუაშვილი, „ქართული ოცნება“] რომ უფრო კარგად გესმით ხალხის პრობლემები, ვიდრე იმ ადამაინებს, ვინც უკვე დიდი ხანია პოლიტიკაში არიან? ამის თქმა გინდათ?“ 26 ივლისი

„ვიცით, რომ მსგავსია ნაციონალური მოძრაობის პროგრამა და ქართული ოცნება ადანაშაულებს პლაგიატში ამის გამო. მაგრამ რითი აპირებთ იმის დამტკიცებას, რომ, მაგალითად, თქვენი პროგრამა არის რეალისტური, მათი კი პოპულისტური?“ 1 აგვისტო, სტუმარი დავით უსუფაშვილი, ქართული ოცნება.

„რას გააკეთებთ განსხვავებულს, რაც ვერც ერთმა წინა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა?“ 3 აგვისტო, სტუმარი ირაკლი ალასანია.

„თქვენ პირადად და ასევე კოალიციის ლიდერი იძლევით გარანტიას, რომ ეს იქნება დროებით. რა გარანტიაზეა საუბარი? რა შეთანხმებაა ბურჯანაძესთან?“ 15 აგვისტო, სტუმარი ლუკა კურტანიძე.

„ხომ არ ფიქრობთ, რომ შეცდომა იყო ის, რომ თქვენ ადექით და გაცილებით ადრე, ვიდრე ოფიციალურად მოგანიჭებდნენ ნომერს, ჩათვალეთ, რომ ეს უკვე იყო თქვენი ნომერი?“ 21 აგვისტო, სტუმარი მაია ფანჯიკიძე.

წამყვანი ცდილობს სტუმარს საწინააღმდეგო აზრიც დაუფიქსიროს განხილულ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად 30 ივლისის გადაცემაში, როდესაც სოსო ჯაჭვლიანი საუბრობდა, რომ ვეღარ ცნობს მესტიის მთავარ მოედანს, ბერიძე აფიქსირებს განსხავებულ აზრს: „თუმცა აშენდა სასტუმროები სვანეთში, ბატონო სოსო, აშენდა აეროპორტი."

იმ შემთხვევაში, როდესაც წამყვანს სტუმრად ისეთი ადამიანი ჰყავს, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს და იგი ერთგვარი შემფასებლის როლს ასრულებს, ბერიძე მას წარუდგენს არსებულ რამდენიმე პოზიციას და მისგან ამ პოზიციების შეფასებას ითხოვს. მაგალითად, 9 აგვისტოს გასულ გადაცემაში მან ასე დაუსვა კითხვა პოლიტოლოგ არჩილ გეგეშიძეს: „თუკი განვიხილავთ ამ თემას უკვე ქართულ-რუსული ურთიერთობების ჭრილში, ორი მიდგომა არის საქართველოში: პირველის თანახმად, იმის მიუხედავად, ვინ იქნება საქართველოს ხელისუფლების სათავეში, რუსეთთან დიალოგი ამ ვითარებაში არის შეუძლებელი. ეს უმთავრესად ხელისუფლების მომხრე ექსპერტების, ან თვითონ ხელისუფლების წარმომადგენლების მიდგომაა. არის მეორე მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, თუკი საქართველოში მოვა სხვა ხელისუფლება, შესაძლებელია, პოტენციალი არსებობს სიტუაციის გაუმჯობესების, რომელი მოსაზრებაა სწორი, თქვენი აზრით? რომელია უფრო ობიექტური?"

აღსანიშნავია, რომ ეკა ბერიძე მაქსიმალურად იკავებს თავს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან. თუმცა, მონიტორინგის განმავლობაში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, სადაც ირიბად ან პირდაპირ გამოვლინდა ჟურნალისტის დამოკიდებულება კონკრეტული ფაქტის მიმართ. მაგალითად 31 აგვისტოს გადაცემაში ბერიძე ბიძინა ივანიშვილს ეუბნება: „თუმცა, ბატონო ბიძინა, 2008 წელს სააკაშვილს გაუფორმეს ის შედეგი არჩევნების, რომელიც მინიმუმ ნამდვილად იდგა ეჭვქვეშ."

14 აგვისტოს გადაცემაში, სადაც სტუმარი ირაკლი კაკაბაძე იყო, წამყვანი მას ასე უსვამს კითხვას: „რაც შეეხება რუსული საფრთხის შესახებ მუდმივ მითს - როგორც კი ოპოზიცია მოძლიერდება ხდება მისი დაკავშირება რუსეთთან... ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება კოალიციას, ქართულ ოცნებას, და მის ლიდერს ეს ლეგენდა მუშაობს ამერიკაში?"